# ლელო

№ 9
(11 261)

5 – 8 თებერვალი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები სფფ-დან

### ტაილანდამდე მგზავრობა ძვირია, მაგრამ ნასვლა ღირს...

როგორც ვიტყობინებოდით, ტაილანდის ტურნირში მონაწილეობაზე საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის უარი კი არ შემოუთვლიათ, ტურნირი გადაიდო. თავდაპირველად 8 გუნდის მონაწილეობას გეგმავდნენ, მაგრამ ახლა 4-ზე შეჩერებულან. სამი უკვე ცნობილია — ტაილანდი, კორეა, უნგრეთი. გრძელდება მოლაპარაკება, რომ მეოთხე გუნდად საქართველოს ნაკრები ჩართონ. გასარკვევი იყო მხოლოდ ზედმეტი ხარჯების საკითხი. საქმე იმაშია, რომ მასპინძლები გზის ხარჯებს მხოლოდ 800 აშშ დოლარამდე აუნაზღაურებენ თითოეულ სტუმარს. ჩვენთვის, ეს თანხა თითქმის ორმაგდება, მაგრამ სფფ დათანხმდა, რომ დამატებით თანხას თავად გაიღებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი თანხმობის შემდეგ ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობას წინ აღარაფერი დაუდგება.

ტაილანდელებთან მოლაპარაკების პარალელურად მიმდინარეობს განსჯა მაისისათვის საქართველოსა და ესტონეთის ფედერაციებს შორის ამ ორი ქვეყნის ნაკრებების სპარინგპარტნიორობის თაობაზე. სფფ-მ შესთავაზა 12 ან 23 მაისი. თუ 12 მაისზე შეთანხმდებიან, ჩვენები მატჩის შემდეგ შინ დაბრუნდებიან, მაგრამ თუ 23 მაისს დათქვამენ, მაშინ საქართველოს ნაკრები პირდაპირ გაფრინდება ნორვეგიაში.

### ოლიმპიურს იტალიაში იწვევენ

იტალიელმა მწვრთნელმა ლანდიმ კვლავ შეგვახსენა თავი — იგი 10-დღიან შეკრებაზე ეპატიჟება თავის ქვეყანაში საქართველოს ფეხბურთელთა ოლიმპიურ ნაკრებ გუნდს. სფფ ამ წინადადებაზე საბოლოო პასუხს მას შემდეგ გასცემს, რაც ნაკრების უფროს მწვრთნელს გიგლა იმნაძეს მოეთათბირება.

### სფფ-ს ხელმძღვანელები ვოიაჟს იწყებენ

სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი

იხ. მე-2 გვ.

### ექიმები იაშვილის გამოჯანმრთელებას ივლისისთვის ვარაუდობენ



„ლელომ" წინა ნომერში ფეხბურთის გულშემატკივრებს უკვე შეატყობინა სამწუხარო ამბავი — გერმანული „ფრაიბურგის" საუკეთესო გოლეადორი (ბუნდესლიგის 11 მატჩში გაიტანა 6 ბურთი) კვლავ ტრავმირებულია და ოპერაციას საჭიროებს. იქვე გამოვთქვით იმედი, რომ ქართველი ლეგიონერი მალე გაივლის სარეაბილიტაციო პროცესს — მისი სამაგალითო გარჯა ხომ ასე სასიკეთოდ წაადგებოდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ფრაიბურგის ერთ-ერთი კერძო კლინიკის ექიმს კენშს, რომელიც ამ დღეებში იაშვილს ნატკენ მუხლზე ოპერაციას გაუკეთებს. დასტაქარის თქმით, მის პაციენტს დაზიანებული აქვს ჯვარედინი იოგები (ისევე, როგორც წარსულში კახი ცხადაძეს). ოპერაცია რთული იქნება. სავარაუდოა, რომ იაშვილი მწვანე მინდორს ივლისში დაუბრუნდეს.

### მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში

# ესეც შენი მინი!

***გუშინ მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე მინიფეხბურთში ნახევარფინალები გაიმართა. ამთავითვე ვიტყვით, სპორტის სასახლეში მისულმა 2 ათასამდე გულშემატკივარმა დიდი სიამოვნება მიიღო. მან იხილა ყოველივე ის, რისთვისაც უყვართ ფეხბურთი — ცეცხლოვანი, სწრაფი თამაში, მახვილგონივრული კომბინაციები. აი, ასეთივე შემართებით რომ გაისარჯონ ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში, მაყურებელი ნამდვილად დაუბრუნდება სტადიონს.***

**ლოკომოტივი (თბილისი) – დილა (გორი) 3-0**

***ლოკომოტივი:*** ჯანელიძე, ბალაშვილი, გ. ღუდუშაური, ბარნოვი, ბაქრაძე, ვ. კილასონია, კ. გოგოლაძე, დაუშვილი, გოდერძიშვილი, კაციაშვილი, კ. მელქაძე, მარღიშვილი, დოლაბერიძე.

***დილა:*** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი, ახალკაცი, შატაკიშვილი, ილურიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი, არუთინიანი.

***გოლები:*** მელქაძე (32), დაუშვილი (35,47)

***გააფრთხილეს:*** დაუშვილი, ხაჭაპურიძე.

***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

უნდა ითქვას, რომ გორელმა ფეხბურთელებმა, წაგების მიუხედავად, ურიგო შთაბეჭდილება როდი დატოვეს. მართალია, გუნდიდან კვლავ წავიდა რამდენიმე ძლიერი მოთამაშე, კოლექტივი მაინც ლამაზ, ხისტ ფეხბურთს თამაშობს. რკინიგზელებმა მხოლოდ მატჩის მეორე ნახევარში მოუძებნეს გასაღები მეტოქის კარს. აქ გადამწყვეტი სიტყვა თქვეს გამოცდილმა კილასონიამ, მელქაძემ, დაუშვილმა.

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – არსენალი-2 (თბილისი) 5-2**

***ვიტ-ჯორჯია:*** გუგუნავა, ბოჭორიშვილი, გ. მეტრეველი, ჯ. მუჯირი, მაზიაშვილი, ლ. ნოზაძე, ხაბულიანი, ჭურაძე, თ. ბოკერია, ზ. გვაზავა, დუნდუა, დოლიძე, ა. ბოკერია.

***არსენალი-2:*** კუპატაძე, ოქრუაშვილი, ბერიანიძე, კაპანაძე, მაჩაიძე, კვარაცხელია, ჩხაიძე, რობაქიძე, ჩარკვიანი, ეგაძე, ზ. მეტრეველი, გოცირიძე.

***გოლები:*** 1-0 ა. ბოკერია (11), 2-0 ხაბულიანი (12), 2-1, 2-2 ჩხაიძე (14,45), 3-2 ა. ბოკერია (46), 4-2, 5-2 მაზიაშვილი (47, 50).

***გააფრთხილეს:*** კუპატაძე, ბერიანიძე, კაპანაძე, თ. ბოკერია, გუგუნავა.

***გააძევეს:*** ხაბულიანი.

***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

მატჩამდე უმეტესობა უპირატესობას უფრო გამოცდილ ვეტერინარებს აძლევდა და, მართლაც, თავდაპირველად „ვიტ-ჯორჯია" დაწინაურდა. არმიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ მებრძოლი სულისკვეთება გამოავლინეს და მეორე ტაიმის შუაწელში ანგარიშიც გაათანაბრეს. აი, აქ კი, იგრძნო რა მოახლოებული საშიშროება, ვიტ-ჯორჯიელთა მწვრთნელმა გია ჭყონიამ წუთშესვენება აიღო, ბიჭები დაამშვიდა, გაამხნევა და ტაქტიკური გადაადგილებები გააკეთა. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მწვრთნელის ჩარევა დროული და სასარგებლო გამოდგა — მატჩის ბოლო წუთებში მისი შეგირდების უპირატესობა აშკარა იყო.

ამრიგად, დღეს სპორტის სასახლეში ტურნირის დასკვნითი მატჩები გაიმართება: 16 საათზე — მესამე ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდებიან „არსენალი-2" — „დილა", ხოლო 17 საათსა და 30 წუთზე შედგება ფინალი: „ვიტ-ჯორჯია" — „ლოკომოტივი".



# სპონსორის ყურადღება ოქროს ორი მედლით დაფასდა

### ეს ჯილდოები ნინო სალუქვაძემ მოიპოვა მიუნხენში გამართულ უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში

ასპარეზობა პნევმატური იარაღის სროლაში ჩატარდა 37 ქვეყნისა და 417 სპორტსმენის მონაწილეობით. ნინო სალუქვაძე 10 მ. სროლაში გამოდიოდა, სადაც 58 მსროლელი, მათ შორის 4 ოლიმპიური ჩემპიონი იბრძოდა გამარჯვებისათვის. მოეწყო ორი სტარტი და ორივეში ოქროს მედალი წილად ხვდა ნინო სალუქვაძეს. ***პირველი სტარტი:*** 1. ნინო სალუქვაძე (387+99,4) — 486,4 ქულა, 2. რებეკა შნაიდერი (აშშ, 386+100,0) — 486,0, 3. ოლგა კუზნეცოვა (ყოფილი კლოჩნევა, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსეთი, 386+98,8 — 484,8, 4. იასნა სეკარიჩი (ოლიმპიური ჩემპიონი, იუგოსლავია, 381+101,7) — 482,7. მეორე სტარტი: 1. ნინო სალუქვაძე (387+100,3) — 487,3, 2. სუსანა მიერხოფი (მსოფლიო რეკორდსმენი, დანია, 387+100,1) — 487,1, 3. ირინა მუზა (უკრაინა, 385+101,5) — 486,5, 4. კუზნეცოვა (385+100,2) — 485,2.

ამავე პროგრამაში გამოდიოდა ჩვენი მეორე წარმომადგენელი ნინო უჩაძე, რომელიც, სამწუხაროდ, ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდა. და საბოლოოდ XV ადგილს დასჯერდა (378). ჩვენი ფედერაცია მიიჩნევს, რომ სეზონის სტარტზე უჩაძისათვის ეს არ არის ურიგო შედეგი.

როგორც ცნობილია, ნინო სალუქვაძეს სპორტული პისტოლეტიდან სროლაში განაღდებული აქვს სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. მოიპოვა თუ არა ნინომ ამჯერად ლიცენზია პრევმატურ იარაღში?

— არა, ეს არ იყო სალიცენზიო ტურნირი, 1-7 მარტს ჰოლანდიის ქალაქ არნჰემში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი და სწორედ იქ გაირკვევა თუ ვინ გაემგზავრება სიდნეიში — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გივი ბოსტოღანაშვილმა.

მთავარი პრობლემა — უსახსრობა, სამწუხაროდ, კვლავ საეჭვოს ხდის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას. აქვე ვიტყვით, რომ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოსა და მისი ხელმძღვანელის ვლადიმერ კანკავას მოწადინებამ და ფინანსურმა მხარდაჭერამ გახადა შესაძლებელი ნინო სალუქვაძისა და მისი მწვრთნელის ვახტანგ სალუქვაძის მიუნხენში გამგზავრება, რაც, როგორც ვნახეთ, ოქროს ორი მედლით დაფასდა. ნინო უჩაძე კი ქუთაისის სპორტის კომიტეტმა (თორნიკე კენჭაძე) დააფინანსა.

დაბოლოს დავძენთ, რომ მიუნხენში სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვეს ავსტრიისა და გერმანიის წარმომადგენლებმა, საქართველოსა და რუსეთის ორ-ორი, ბელარუსს, იტალიას, პოლონეთს და სლოვაკეთს თითო მედალი ხვდათ.

მ. ფუფუნავა

### თემა განსჯისათვის

# ოსტატობის რეესტრი, ანუ გვინდა თუ არა სპორტული კლასიფიკაცია?

*სპორტში სპორტული ოსტატობის სრულყოფა ერთადერთი სწორხაზოვანი გზაა უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად. ცხადია, ეს გზა მოკლე არ არის და უდიდეს გარჯასთან ერთად, რკინისებურ ნებისყოფას, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით მრავალ სიამოვნებაზე უარის თქმას მოითხოვს. იყო დრო, როცა მაღალი სპორტული მიღწევებისთვის სწრაფვაში გარკვეულ სტიმულს აძლევდა სპორტსმენს ე.წ. სპორტული კლასიფიკაცია, სადაც თანმიმდევრულად აღირიცხებოდა ყველა ნაბიჯი ოსტატობის ამაღლებისკენ მიმავალ გზაზე. საკლასიფიკაციო ბილეთს დიდი სიამაყით ატარებდნენ სპორტსმენები და ერთთავად იმის მოლოდინში იყვნენ, როდის გაჩნდებოდა მასში სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულების ჩანაწერი. ეს ყოფილ სსრ კავშირსა და ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში იყო, თორემ სხვა ქვეყნებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ასეთ შეფასებებზე და მის მნიშვნელობაზე.*

*არის თუ არა საჭირო სპორტული კლასიფიკაცია დღეს, თუ საერთოდ აღარ ღირს მივუბრუნდეთ წარსულს? სპორტსმენთა და სპორტულ მუშაკთა აზრს თუ გავითვალისწინებთ, მათი უმრავლესობა კლასიფიკაციის აღდგენას საჭიროდ მიიჩნევს და ასეთი პოზიცია საბჭოთა სპორტის ნოსტალგია სულაც არ არის. ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლის პირველ წლებში დაიწყო ფიქრი ეროვნული სპორტული კლასიფიკაციის შექმნაზე, გამოიყო კომისიაც. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრო გავიდა, ამ საკითხისადმი მაშინდელ მიდგომას დღესაც არავინ უარყოფს და კვლავ ცხოველია მისი აღდგენის სურვილი. იქნებ არც სტყუიან. სხვებს რას ვუყურებთ, თუ საქმეს წაადგება, რატომ არ უნდა გავაგრძელოთ ფიქრი ეროვნული სპორტული კლასიფიკაციის შექმნაზე?*

*ყველა წოდება შეიცავს სიამაყის განცდის ელემენტებს, მით უფრო, თუ იგი ისეთ სფეროშია მოპოვებული, როგორიცაა სპორტი.*

***მიმომხილველი***



### ფიფას რჩეულნი

ბარსელონას ეროვნული თეატრის შენობაში სრული ანშლაგი იყო, რაც გასაკვირი სულაც არაა — ამ დღეს ფიფა 1998 წლის რჩეულ ფეხბურთელებს ასახელებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო მოთამაშედ ფრანგი ზინედინ ზიდანი აღიარეს, გამოკითხვაში მეორე შედეგი ჰქონდა ბრაზილიელ რონალდოს, მესამე — ხორვატ შუკერს.

# ახალი ამბები სფფ-დან

(პირველი გვერდიდან)

ჩოლარია აგრძელებენ თავიანთი კონსულტაციების სერიას ქვეყნის საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებთან. ამჯერად ეს „ტანდემი" აჭარას, ფოთს, ლანჩხუთს და სამტრედიას ეწვევა და ადგილებზე განიხილავს არა მხოლოდ საკლუბო, არამედ საერთოდ, ქართული ფეხბურთის სასიცოცხლო საკითხებს.

## ტრანსფერებში წესრიგი მყარდება

სფფ-მ გაამკაცრა კონტროლი ფეხბურთელთა ტრანსფერებზე, რაც ამ სფეროში წესრიგის დამყარების საწინდრად იქცა. თავის დროზე უკონტროლობამ თვითდინებაზე მიუშვა ეს საქმე, რაც არც ფეხბურთელებისთვის იყო მაქსიმალურად სასარგებლო, და მით უმეტეს, კლუბებისთვის, სადაც ისინი ალიზარდნენ. თვითმარქვია შუამავლებისა და ფარული გარიგებების დრო წარსულს ბარდება. სფფ-მ გამოაჩინა თავისი „ბრჭყალები" და უკვე უცხოეთის საფეხბურთო კლუბები იძულებულნი ხდებიან ანგარიში გაუწიონ სფფ-ს მოთხოვნებს, რათა აპრობირებული წესებით და ცივილურად განხორციელდეს ტრანსფერები. ის ფაქტი, რომ სფფ-მ სამი ძირითადი მოთხოვნა წამოაყენა: 1. ფეხბურთელის სამედიცინო დაზღვევა, 2. სოციალური ყოფა, 3. ეროვნულ ნაკრებში 7-ჯერ გამოძახება, იმაზე მეტყველებს, რომ სფფ ზრუნავს როგორც ფეხბურთელის, ისე კლუბების კეთილდღეობაზე.

აი, სწორედ სფფ-ს მხრიდან ასეთი ობიექტური მოთხოვნების ფონზე ამოტივტივდა ფეხბურთელ გიორგი ყიფიანის სახელია, რომლის შეძენა ახლა ერთ-ერთ უცხოურ კლუბს სურს, მაგრამ მისი ტრანსფერი განხორციელდება არა იმ უცხოეთის კლუბიდან, სადაც ის ვიღაც უჩინარი შუამავლით თამაშობდა, არამედ სფფ-ს მეშვეობით. ყიფიანის ხელშეკრულების ასლი გუშინ მიიღო ფაქსით სფფ-მ.

## როდიდან და როგორ გახდა ვიქტორ ვარდიძე მენეჯერი? – უკვირთ სფფ-ში

უკვირთ იმიტომ, რომ გამოჩნდა კიდევ ერთი თვითმარქვია მენეჯერი, რომელიც ფეხბურთელებს „მეურვეობს". ცნობილი გახდა, რომ ხობელი ფეხბურთელი ლევან გვაზავა, სწორედ ვარდიძის შუამავლობით გადასულა უკრაინაში. ადრე ვიქტორ ვარდიძე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების (21-წლიანები) ადმინისტრატორი იყო.

## „ალდაგი" გულუხვობს, სხვები?..

თბილისის სპორტის სასახლეში მინიფეხბურთში მიმდინარე მიხეილ მესხის ტურნირის მაღალი ორგანიზაციული დონე ერთ-ერთი სპონსორის „ალდაგის" დამსახურებაცაა, მაგრამ ეს ფირმა თავდაპირველ წვლილს არ დასჯერდა და... გადაწყვიტა გაზარდოს ტურნირის მატერიალური დახმარება, რაც ორგანიზატორებს შესაძლებლობას მისცემს გაადიდოს საპრიზო ფონდი. ვარაუდობენ, რომ „ალდაგს" სხვა ფირმებიც მიბაძავენ...

## დაგვტოვეთ თბილისში, – თქვეს წყალტუბოელებმა და ზუგდიდელებმა და... დატოვეს

მართალია, მესხის ტურნირს გამოეთიშენ წყალტუბოს და ზუგდიდის გუნდები, მაგრამ მათ შინ გამგზავრება არ ისურვეს და თხოვნით მიმართეს სფფ-ს ორი დღით კიდევ გაუხანგრძლივონ სტუმრობა დედაქალაქში. მიზეზი? – ტურნირის ყველაზე საინტერესო მატჩებზე დასწრება და ნორმალურ პირობებში წვრთნის გაგრძელება. სფფ-მ ჩათვალა, რომ ეს თხოვნა სავსებით თავსდება კლუბებისათვის მათი დახმარების ჩარჩოში და ორივე გუნდის სურვილი რეალობად აქცია.

## მოირგეთ ნაჩუქარი ბუცები

საუკეთესო ხარისხის საფირმო ბუცების შეძენა ყველა კლუბის ოცნებაა, მაგრამ ბევრს როდი მიუწვდება ხელი, უპირველესად, უსახსრობის გამო. სფფ მზადაა, წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, საქართველოს საფეხბურთო კლუბებს უსასყიდლოდ გადასცეს მხოლოდ მაღალი ზომის საუკეთესო ბუცები.

## თბილისსა და ხობში განყოფილება გაიხსნა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელში (დირექტორი მერაბ მეტრეველი) და მის ხობის ფილიალში სფფ-სთან თანამშრომლობით გაიხსნა ფეხბურთის განყოფილება. თბილისში ჭაბუკ ფეხბურთელთა დაოსტატებას ვახტანგ კოპალეიშვილი, ხობში კი ლევან ნოდია (უმცროსი) უხელმძღვანელებენ.

## მოკლედ...

● **გრძელდება** მსაჯთა მომზადების სემინარი, რომელიც 12 თებერვალს დასრულდება გამოცდებით. იმავე დღეს გაიმართება მეგობრული ვახშამი, სადაც გამოცდების ჩამბარებლებს საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.

● **დაახლოებით** ერთ კვირაში შედგება ეროვნული ნაკრების მატჩებისთვის საგანგებოდ დამზადებული აბონემენტებისა და ბილეთების პრეზენტაცია. აბონემენტი 50 ლარი ეღირება. უკვე დიდია მოთხოვნა, მათ შორის თვით საფეხბურთო ორგანიზაციებში, განაცხადების მიღება 22 თებერვლამდეა დათქმული. სფფ შეგახსენებთ, რომ აბონემენტებისა და ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ იჩქარეთ!



**კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

## დღეს და ხვალ ვერის ბაღში გუნდები XIII ტურის მატჩებს გამართავენ

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 12 | 12 | 0 | 986-840 | 24 |
| სტუ | 12 | 10 | 2 | 928:853 | 22 |
| ვითა | 12 | 8 | 4 | 633:568 | 19 |
| თსუ | 12 | 7 | 5 | 984:937 | 19 |
| დინამო | 12 | 7 | 5 | 957:931 | 19 |
| სდასუ | 12 | 6 | 6 | 859:908 | 18 |
| შევარდენი | 12 | 4 | 8 | 813:880 | 16 |
| მაკაბი | 12 | 3 | 9 | 896:956 | 15 |
| კოლხა | 12 | 3 | 9 | 800:952 | 15 |
| ასკ | 12 | 0 | 12 | 231-262 | 12 |

შენიშვნა: „ვითას" დაკლებული აქვს 1 ქულა.

**გამოხმაურება**

# გაისარჯეთ სპორტული მუზეუმისთვის

„ლელოს" 1999 წლის მე-7 ნომერში რუბრიკით „თემა განსჯისათვის" გამოქვეყნდა წერილი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმის ფუნქციის აღდგენას და პრობლემის საერთო ძალისხმევით გადაჭრას, საკითხის ადგილიდან დაძვრისათვის კი რედაქციამ შეხვედრა დათქვა ხელმძღვანელი სპორტული და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. ეს შეხვედრა შედგა რედაქციაში.

— სპორტული დიდების მუზეუმი საქართველოს სპორტული ისტორიაა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩავაყენოთ თაობათა პატრიოტული აღზრდის სამსახურში. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა კახი ასათიანმა გადაწყვიტა სპორტის სასახლიდან მუზეუმი გადმოვიტანოთ დეპარტამენტის შენობაში და შესაფერისი ადგილიც შერჩეულია, მაგრამ ცნობილმა ფინანსურმა პრობლემებმა შეგვიშალა ხელი — თქვა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თედორე გურგენიძემ.

შეხვედრაზე გამოითქვა არაერთი საინტერესო მოსაზრება. დეპარტამენტის რეგიონული მართვისა და მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა ნარგიზა მესხმა. გაიხსენა 80-იანი წლები, როცა მუზეუმის ექსპონატების გამოფენა დედაქალაქის სამხატვრო გალერეაში მოეწყო და დამთვალიერებელთა უდიდესი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, გამოფენა კიდევ დიდხანს გაგრძელდა. სხვათა შორის, ამაზე კარგი საბუთი რაღა იქნება, იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში პატივს სცემენ და აფასებენ სპორტულ მემკვიდრეობას, ხალხი ჭეშმარიტ გმირებად მიიჩნევს ოლიმპიურ თუ მსოფლიო სარბიელზე თავგამოჩენილ ათლეტებს. რა რეაგირება შეიძლება საუკეთესო წინადადებებზე, რომელიც საქმეს წაადგება? ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ და სხვა საინტერესო კითხვაზე პასუხი სწორედ სპორტის დეპარტამენტს და პირადად ბატონ თედორე გურგენიძეს უნდა გაეცა.

● *შეიძლება თუ არა გამოფენის განმეორება, რათა ხალხს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენი წარმატებები სპორტში და საზოგადოებრივი ყურადღება მუზეუმის ამუშავების დაჩქარების სტიმულად ვაქციოთ?*

— შეიძლება, რა თქმა უნდა — თქვა ბატონმა თედორემ. მე დაუყოვნებლივ შევხვდები კულტურის მინისტრს ბატონ ვალერი ასათიანს და მოვითათბირებთ.

● *ცხადია, ბოლოს და ბოლოს, მუზეუმისთვის ახალი ადგილი უნდა გამოინახოს და შეგირჩევიათ კიდეც სპორტის დეპარტამენტში. თქვენი მხრიდან ეს პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის საუკეთესო მაგალითია, მაგრამ ადგილსაც ხომ აქვს მნიშვნელობა. გალერეაში, ქალაქის ცენტრში მოწყობილმა გამოფენამ ათიათასობით მნახველი მიიზიდა, მაშინ, როცა იგივე სპორტის სასახლეში მუზეუმი წლების განმავლობაში ძირითადად მხოლოდ სტუმრებთან თავმოწონების ფუნქციას თუ ასრულებდა...*

— თქვენ ამბობთ, რომ სადმე ახალი ადგილი შეირჩეს?

● *დიახ, სწორედ ამის თქმა გვინდა.*

— ჩვენ საკუთარი შესაძლებლობებით ვცდილობთ გადავჭრათ პრობლემა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა ღონესაც მივმართავთ. მართალი ხართ, თუ მუზეუმი ქალაქის ცენტრში გაიხსნება, მეტ სარგებლობას მოიტანს და იგი თავისი შემოსავლებით იარსებებს.

● *რას ფიქრობთ ამ საქმეში თბილისის მერიისა და მისი სპორტის სამმართველოს ჩართვის თაობაზე?*

— დედაქალაქის მერია და მისი სპორტის სამმართველოს გარჯა ჩვენი



თედორე გურგენიძე

სპორტული საქმიანობის სასიკეთოდ, ყველასათვისაა ცნობილი. სწორედ მათ შეუძლიათ ქალაქში, ცენტრში გამონახონ შესაფერისი შენობა ან შენობის ნაწილი სპორტული მუზეუმის დასაბინავებლად. ჩვენ მზად ვართ მხარში დავუდგეთ.

● *მუზეუმი დიდი ხანია გამოკეტილია და ძვირფასი ექსპონატების საწყობადაა ქცეული. ნუთუ არ შეიძლება იმ ადამიანებმა, რომელთა სპორტული ნადავლი მუზეუმის სიამაყეს წარმოადგენს, წილობრივად რაღაც გაიღონ მუზეუმის გადასარჩენად და მისი ფუნქციის აღსადგენად, ბევრი მათგანი ხომ ბიზნესსაც ეწევა...*

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ ეს საინიციატივო ჯგუფმა ან რომელიმე ორგანიზაციამ უნდა იკისროს. ალბათ, შეიძლება გაიხსნას სპეცანგარიში, სადაც დარწმუნებული ვარ მთელი საზოგადოებრიობა, ფირმებიც შეიტანენ შესაწირს.

თ. თომაშვილი

**ამაზეც ვიფიქროთ!**

## საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტს გია თორთლაძეს



ძალიან სასიამოვნოდ დამრჩა „ლიტერატურულ საქართველოში" (№4, 99 წ.) გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თქვენდამი რწმუნებული ფედერაცია რა რიგ პატივს მიაგებს ქართველ მწერლებს მწვერვალებისათვის მათი სახელების დარქმევით, კავკასიონის მთიანეთში რომ არის არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთა — ილიას, აკაკის, ვაჟას სახელობის მწვერვალები, ჩვენი საუკუნის გამოჩენილი მწერლების — გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძის და ლადო ასათიანის სახელობის მწვერვალებიც.

იქვე ისიც შევიტყვე, რომ უახლოეს ხანში განზრახული გაქვთ ცენტრალურ კავკასიონზე, მამისონის ზეკარის რაიონში, ოთხიათასმეტრიან უსახელო მწვერვალს დაენათლოს ცნობილი მწერლის, სპორტსმენთა დიდი მეგობრის გურამ ფანჯიკიძის სახელი (რა თქმა უნდა, რაჭის მკვიდრი მწერლის ეს დაფასება მეც, როგორც რაჭველს, განსაკუთრებით მეამაყება).

ამ კეთილშობილურმა ინფორმაციამ ისიც გააკეთა, რომ გამიცოცხლა კარგახნის წინანდელი ფიქრი, რამაც ამაღებინა ხელში კალამი, რატომღაც მესაკლისა, ადრე მწერალთა სახელდებულ მწვერვალებში ლევან გოთუა რომ არ ფიგურირებდა. საქვეყნოდ ცნობილია, ეს ჩინებული შემოქმედი იყო არა მარტო დიდი მწერალი და ერის დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლი — მრავალტანჯული ადამიანი, აგრეთვე სახელოვან ქართველ მთამსვლელთა, ჯაფარიძეთა ოჯახის გულითადი მეგობარი, მათთან ერთად რამდენიმე მწვერვალის დამლაშქრელი. ლევან გოთუას წინამძღოლობით ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით ქართველ მწერალთა დიდმა ჯგუფმა მოაწყო ლაშქრობა ბეთლემის მოსანახულებლად და მყინვარწვერზე ასასვლელად. ის იყო აგრეთვე ძველ გამოქვაბულთა მკვლევარი. თუნდაც ის რად ღირს, რომ მან ქვაბსახიზარში აღმოაჩინა ლეონტი მროველის წარწერა, რომლითაც უარყო მავანთა აზრი, თითქოს ეს სახელი მოგონილი იყო. ამ წარწერით დამტკიცდა, რომ „ქართლის ცხოვრების" შემქმნელი ლეონტი მროველი ნამდვილად ცხოვრობდა მეთერთმეტე საუკუნეში და რეალური მემატიანე იყო.

ოციოდე წლის წინათ რატომღაც დავიჯერე, რომ კავკასიონის მთაგრეხილზე ერთ-ერთ მწვერვალს უკვე ერქვა ლევან გოთუას სახელი, მოგვიანებით კი გავიგე, რომ ეს ჟურნალისტების პაატა ნაცვლიშვილის, ჯუმბერ ჯიშკარიანის და ჩემი სურვილი ყოფილა მხოლოდ. არადა, ეს სურვილი, მე თუ მკითხავთ, უნდა გასჩენოდა უპირველეს ყოვლისა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მესვეურებს... და განეხორციელებინა კიდევაც.

ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. რაკი მთასვლელთა ფედერაცია საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევს ძველ და ახალ მწერლებს, ეგება სახელოვანი მწერალი და მთამსვლელი ლევან გოთუაც გაგვეხსენებინა და რომელიმე უსახელო მწვერვალისათვის მისი სახელი დაგვერქმია.

კარგი იქნება თუ ამ მხრივ მიხეილ ჯავახიშვილიც არ დაგვავიწყდება, თუ აქამდე არ არსებობს მისი სახელით მონათლული მწვერვალი ერთიც. მე არ ვიცი, არსებობს თუ არა სადმე მთაში დალუპული გურამ თიკანაძის სახელის შემნახავი მთა, თუ არ არსებობს, უპრიანია, არც ეს დაგვავიწყდეს.

აკაკი გეწაძე,
29 იანვარი, 1999 წ.

**რედაქციისაგან:** 1975 წელს ქართველ მწერალს ბ-ნ ლევან გოთუას დაბადებიდან 70-წლისთავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელთა 17-კაციანმა ჯგუფმა ხდის ხეობაში შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით დაიპყრო 4 000-მდე მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალი, რომელსაც პირველამსვლელთა უფლებით ეწოდა ლევან გოთუას სახელი.

როგორც ხედავთ, ბატონ აკაკი გეწაძეს და რედაქციას განსხვავებული აზრი აქვთ. იქნებ ფედერაციამ შეიტანოს მეტი სიცხადე ამ საკითხში?

**ჯანმრთელობის კუთხე**



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

## ვარჯიში მხედველობის სიმახვილისათვის

მათთვის, ვინც ხანგრძლივად მუშაობს კომპიუტერთან, ნაბეჭდ წვრილ შრიფტთან, აუცილებელია მხედველობის განტვირთვა. დრო, რომელიც იხარჯება ახლო მანძილზე და შორ დისტანციაზე მუშაობისას, ისე უნდა შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც 3:1. მზერის სიმახვილის შესანარჩუნებლად გამოგადგებათ შემდეგი მარტივი მოწყობილობა: თქვენს სამუშაო ოთახში, ან ოფისში, ფანჯარაზე დააწებეთ რგოლი, რომლის გარე დიამეტრი 0,5-1 სმ-ია, შიგნითა 0,2-0,5 სმ. (რგოლი ღრუ უნდა იყოს). დასვენების დროს შეასრულეთ შემდეგი ვარჯიში: გაიხედეთ რგოლში, შეხედეთ შორ საგნებს — დაათვალიერეთ პეიზაჟი, რომელიც რგოლის ღრუდან ჩანს, ცოტა ხნის შემდეგ, დაახლოებით 5-7 წმ, მზერა დააფიქსირეთ თვით რგოლზე. შეასრულეთ ვარჯიში ჯერ ერთი, შემდეგ ორივე თვალით.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## უეფა უარყოფს

უეფას აღმასკომმა უარჰყო ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის წინადადება მსოფლიო ჩემპიონატების ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების შესახებ. კომიტეტის სხდომაზე, კეიპტაუნში, უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნესმა განაცხადა, რომ ბლატერის იდეამ ერთხმად მიილო უარყოფითი შეფასება, რადგან „ევროპული, თუ საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთისათვის არაფერ პოზიტიურს არ მოუტანს და ამ ტურნირსაც და თამაშსაც მხოლოდ ფასს დაუკარგავს".

უეფა აპირებს ბლატერის მოწვევას მისი პროექტის დეტალების განხილვის მიზნით. ამ შეხვედრის თარიღი, როგორც უეფას ვიცე-პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ განაცხადა, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## ორი მსაჯი ერთდროულად?

უეფა მზად არის განიხილოს ექსპერიმენტი მინდორზე ერთდროულად ორი მსაჯით. მისი განხილვა თებერვლის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

აი, რა განაცხადა უეფას პრეს-ცენტრმა: „დეტალებზე არ ვილაპარაკებთ, მაგრამ ეს ექსპერიმენტი ეთანხმება უეფას ფილოსოფიას".

ასეთი წინადადებები უეფას ადრეც ჰქონია, მაგრამ ახლა პირველად გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება.

## კაპელო „რეალში" დაბრუნდება?

ვინ შეცვლის მადრიდის „რეალში" გუს ჰიდინკს? ამ ბოლო ხანებში ყველაზე მეტს ფაბიო კაპელოზე ლაპარაკობენ, რომლის ხელმძღვანელობით სამეფო კლუბი შარშანწინ ესპანეთის ჩემპიონი გახდა.

როცა ამის შესახებ ჟურნალისტები თვით კაპელოს შეეკითხნენ, ასეთი პასუხი მიიღეს: თუკი იტალიელი ოფიციალურად მიიღებს ასეთ წინადადებას, მაშინ ყურადღებით შეისწავლის მას, და სრულიად შესაძლებელია, დათანხმდეს კიდეც სათავეში ჩაუდგეს „რეალს".

## რონალდო სამშობლოში დაისვენებს

რონალდოს მინდორზე დაბრუნება ძალზე გაჭიანურდა. არავინ იცის, როდის დაიწყებს იგი კვლავ თამაშს. აი რა განაცხადა „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ:

— მსოფლიო ჩემპიონატმა მას ძალზე ცუდი სამსახური გაუწია. იგი დღემდე განიცდის მის ნეგატიურ შედეგებს. ყველა დიდ ფეხბურთელს ადრე თუ გვიან დიდი ჩავარდნა აქვს. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ეს დაემართა ახლა რონალდოს.

უკანასკნელი ცნობებით, „ინტერმა" გადაწყვიტა რონალდოს ბრაზილიაში დასვენებისა და ძალების მოკრების საშუალება მისცეს.

## კემპბელი შეიძლება დააპატიმრონ

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის" ცნობილ მცველ სოლ კემპბელს დიდი უსიამოვნება ელის. მას ბრალდება „დერბი ქაუნთისთან" მატჩის შემდეგ 48 წლის გულშემატკივარ რექს მანდის სასტიკი ცემა. მანდის შუა თითი გადაუტყდა და ხელიც სერიოზულად დაიზიანა. მან მიმართა პოლიციას, მაგრამ როგორც თვით ფეხბურთელი, ისე მისი აგენტი ყველაფერს უარყოფენ. როგორც აგენტმა სკაი ენდრიუსმა განაცხადა, სოლი ისეთი კაცია, რომელიც ბუზსაც არავის აუფრენს.

## ჭიჭველიშვილი მოსწონთ

„ჭიჭველიშვილმა კარგა ხანია მიიპყრო ყურადღება, ჯერ კიდევ სოჭში შეკრებაზე გვიჩვენა მშვენიერი ტექნიკა და კარში ძლიერად დარტყმის უნარი" — წერს მოსკოვის „სოვეტსკი სპორტი".

● ***დავით, როგორ ჩატარდა შეკრება? ხომ არ გაგიჭირდა?***

— ფიზიკური თვალსაზრისით, ცოტა ძნელი იყო. მთელი თვე ვემზადებოდი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

დავით ჭიჭველიშვილი მოსწონს „სპარტაკის" მწვრთნელ რომანცევს. ის კი ჯერ ნათელი არ არის მოხვდება თუ არა ჩვენებური ძირითად შემადგენლობაში.

## ვერეტენიკოვი: მინდა ნაძირალას თვალებში შევხედო

როგორც ცნობილია, უცნობმა ნაძირალამ, რომელიც სავარაუდოდ მოსკოვის „სპარტაკის" ვაიგულშემატკივრად მიაჩნიათ, სახეში ხსნარი შეასხა „როტორის" ცნობილ ფეხბურთელ ოლეგ ვერეტენიკოვს და მის მცირეწლოვან ქალიშვილს. ამის შემდეგ ვერეტენიკოვი და მისი შვილი ისრაელში მკურნალობდნენ.

ვოლგოგრადის მილიციამ ბევრ ადგილას გამოაკრა დამნაშავის ფოტორობოტი, ძებნა გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. როგორც ფიქრობენ, ბოროტმოქმედი კუსტანაიში (ყაზახეთი) უნდა იმალებოდეს.

## „ჟემჩუჟინას" შეძლებული სპონსორი აღმოუჩნდა

სოჭის „ჟემჩუჟინას" მწვრთნელები ყოველთვის უსახსრობას უჩიოდნენ. ფეხბურთელებიც ხშირად ტოვებდნენ გუნდს. ასე იყო არსენ ნაიდენოვის, დიდხანს კი ანატოლი ბაიდაჩნის დროსაც.

ახლა „ჟემჩუჟინას" შეძლებული სპონსორი აღმოუჩნდა. ეს არის სატელევიზიო კომპანია „ანჯი", რომელმაც უკვე მოაწყო გუნდის ათდღიანი შეკრება კვიპროსზე. ახლა კლუბში 4 ქართველია: ახალგაზრდა მეკარე ხმელიძე, გელაძე, გოგიაშვილი და გოგრიჭიანი.

## სკანდალი იტალიაში: თუ ეს გარიგება მართლაც იყო, რა აზრი ჰქონდა?

„სერია A"-ს კლუბ „ვენეციას" მოთამაშე ბრაზილიელი ტუტა, აქამდე მაინცდამაინც ცნობილი არ იყო. „ვენეცია" ახლა უმაღლეს ლიგაში გადარჩენისათვის იბრძვის, არც ისე ძლიერია, ტუტა კი ამ კლუბში შეცვლაზე თუ გამოდიოდა. მაგრამ აი ერთმა შემთხვევამ კი იგი გაზეთის პირველი გვერდის ხშირი სტუმარი გახადა.

მაინც რა მოხდა ასეთი?

„ვენეცია" მასზე უფრო ძლიერ „ბარის" მასპინძლობდა. ტუტა შეცვლაზე რომ გამოვიდა, ანგარიში იყო 1-1. შემდეგ ბრაზილიელმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა და მასპინძლებმა გაიმარჯვეს. აქ განსაკუთრებული, რა თქმა უნდა, არაფერია, მაგრამ როგორც კი მატჩი დამთავრდა, ტუტამ ჟურნალისტებს მაშინვე განუცხადა, რომ როგორც კი გამოვიდა სათამაშოდ, პარტნიორმა ფილიპო მანიერომ მაშინვე გააფრთხილა, შეხვედრა მოლაპარაკების თანახმად ფრედ უნდა დამთავრებულიყო და გოლი არ გაეტანა. ბრაზილიელმა ყურად არ იღო და...

მეორე დღეს, როცა „ვენეცია" ვარჯიშობდა, რამდენიმე ასეული გულშემატკივარი ბაზაზე მივიდა. მათი რისხვა მთელ გუნდს დაატყდა. მათ მოღალატეები და ტაკიმასხარები უწოდეს.

ამ მოლაპარაკებამ (რა თქმა უნდა, თუკი ეს საბოლოოდ დამტკიცდა!) იტალიაში ნამდვილი სკანდალი გამოიწვია, თანაც ეს ამ სეზონში პირველი შემთხვევა არ არის. ოქტომბერში „ემპოლის" თითქოსდა მსაჯ ფარინას მოსყიდვისათვის „სამპდორიასთან" მატჩში ორი ქულა ჩამოაწერეს. ოთხი ქულით დაჯარიმებასაც მოითხოვდნენ, თუმცა ფაქტობრივად ვერაფერი დაუმტკიცეს. ახლა სასჯელი როგორც „ვენეციას", ისე „ბარის" ელის.

იტალიის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ ფრანკო კარაროს საერთოდ, ვერ გაუგია, რა აზრი ჰქონდა ახლა ფრეზე შეთანხმებას: „გასაგებია, ეს ლოგიკურად დასაშვებია ფინიშზე, როცა ფრე ორივე მხარეს ხელს აძლევს. მაგრამ ახლა, როცა ნახევარი გზა გაიარეს, რაში გამოადგებოდა ასეთი შედეგი ან „ბარის", ან „ვენეციას"? რატომ უნდა დათანხმებულიყო „ვენეცია" ქულას სამის ნაცვლად, ახლა, როცა მას ესოდენ სჭირდება გამარჯვება? „ბარის" წლეულს შეუძლია ევროთასებზე მოხვედრისათვის იბრძოლოს, გარდა ამისა, მან ხომ ამ სეზონში სტუმრად გაცილებით უფრო ძლიერი კლუბებიც კი დაამარცხა, ვიდრე „ვენეციაა". ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაუგებარია.

ძალზე განრისხებულია „ვენეციის" პრეზიდენტი ძამპარინი, რომელიც ყველაფერს ჟურნალისტების გაბუქვად თვლის. „ჟურნალისტები უნამუსო ხალხია. რამდენჯერ ვუთხარი ჩემს მოთამაშეებს, თავი შეიკავეთ მათთან საუბრისაგან, რომ თქვენს მიერ ნათქვამი სიტყვები ისე არ გამოიყენონ, როგორც უნდათ. რა უნდა მოვთხოვოთ ტუტას? იგი ხომ მთლად ბავშვია! 15 წლის ბიჭს ჰგავს. თუკი პროვოკაციულ კითხვას მისცემ, რასაც გინდა, იმას ათქმევინებ. იტალიური ხომ არ იცის და არ იცის, პორტუგალიურადაც კი ძლივს ლაპარაკობს, რადგან პარანას ნაპირებზე გაიზარდა, სადაც ადგილობრივი სასაუბრო დიალექტია. მთელი ეს საქმე თავიდან ბოლომდე მოგონილია. მწვრთნელმა ნოველინომ კაპიტან მანიეროს თხოვა ტუტასთვის ტაქტიკური დარიგება მიეცა. მორჩა და გათავდა".

რა თქმა უნდა, ორივე მწვრთნელმა, ფაშეტიმ და ნოველინომ შორს დაიჭირეს, რა მოლაპარაკება, რის მოლაპარაკებაო. თუმცა ვინ იცის...

ბიჭი თხინვალელი

### ფიფას პრეზიდენტები

# ჟოაო ავლანჟამდე

**რუბრიკით წარმოდგენილი ფიფას 5 პრეზიდენტის შემდეგ, ახლა კიდევ ორზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას**

არტურ დრევრის თავის წინამორბედ როდოლფ უილიამ სეელდრეიერსის დარად მცირე ხანს მოუწია პრეზიდენტობა, ხოლო სერ სტენლი როუზმა კი მთელი ეპოქა მოილია. რახან ეპოქაზე ჩამოვარდა სიტყვა, ალბათ უპრიანი იქნებოდა მცირე ისტორიული ექსკურსიც წარმოგვედგინა. 50-იანი წლები უნგრული ფეხბურთის აღმავლობის ხანა იყო, მაგრამ მას დასასრულიც მალე გამოუჩნდა. 1950 წლიდან 1956-მდე უნგრეთის ეროვნული გუნდი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა — 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გფრ-სთან. ეს პერიოდი კიდევ იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ დასაბამი მიეცა ევროპის საკლუბო ტურნირებს — 1955 წელს ჩემპიონთა თასს, ხოლო 1997 წელს უეფას ტელევიზიის დაინტერესებამ ფეხბურთით ერთობ სერიოზული ხასიათი მიიღო, ფეხბურთი თანდათან იპყრობდა საქმოსნების ყურადღებას. ინგლისში ტრადიციად იქცა მატჩების ჩატარება უიკენდებზე. შვეიცარიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ (1954 წ) ფეხბურთის სათამაშო სტილი უფრო მეტად კონცენტრირებული გახდა შეტევაზე, თამაშის პოზიტიურ ასპექტებზე. სწორედ ამ დროს მოევლინა ფიფას მეხუთე პრეზიდენტი — არტურ დრევრი, რომელიც 1955 წლის ლისაბონის კონგრესზე აირჩიეს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბრიტანული საფეხბურთო ასოციაციები კვლავ შეუერთდნენ ფიფას. არტურ დრევრი იმ დროისთვის ინგლისის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი გახლდათ. მან ფიფაშიც დაიწყო ჩინოვნიკობა, მოღვაწეობდა სხვადასხვა კომიტეტებში. 1950 წელს კი არტურ დრევრი ინგლისის იმ ეროვნული გუნდის სელექციონერი გახლდათ, რომელმაც პირველად იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბრაზილიაში. სწორედ მან შეარჩია ფეხბურთელები აშშ-ს ნაკრებთან სათამაშოდ, ისეთ მეტოქესთან, რომელიც მისი აზრით არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა ალბიონელებისთვის. გუნდს მწვრთნელიც ჰყავდა — უოლტერ უინტერბოტომი, თუმცა მისი და დრევრის ფუნქციების სინთეზის შედეგი კაზუსური აღმოჩნდა, რადგან მატჩი ამერიკელებმა მოიგეს ანგარიშით 1-0, რაც დღესაც ყველა დროის უდიდეს სენსაციად ითვლება.

ახლა კი დრევრის ნათელ დღეებზეც ვთქვათ. შვედეთში 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი დრევრის იდეით ოფიციალური ცერემონიით გაიხსნა, რაც სიახლე გახლდათ. ფიფას წევრქვეყნების რაოდენობა 93-მდე გაიზარდა, ხოლო შესარჩევ ციკლში 53-მა მიიღო მონაწილეობა.

მონდიალს უგანეს აფრიკის და აზიის ქვეყნებმა, სამაგიეროდ მონაწილეობა მიიღეს ოთხივე ბრიტანულმა ქვეყანამ და საბჭოთა კავშირმა. მეტის



ფრანკფურტი, 1974 წ. სტენლი როუზი, როგორც ჭეშმარტი ჯენტლმენი, გამარჯვებას ულოცავს ჟოაო ავლანჟს.

გაკეთება არტურ დრევრის აღარ დასცალდა — ის 70 წლის ასაკში გარდაიცვალა 1961 წლის 25 მარტს. ახალი პრეზიდენტი იმავე წელიწადს მოევლინა ფიფას ლონდონში გამართულ კონგრესზე 28 სექტემბერს, როცა სტენლი როუზმა ხმების დიდი უპირატესობით აჯობა შვეიცარიელ ერნსტ ტომენს (ვიცე-პრეზიდენტს არტურ დრევრის პრეზიდენტობისას).

სერ სტენლი როუზის პრეზიდენტობიდან კი უკვე ახალი ერა დაიწყო ფიფას ისტორიაში. მისი 13-წლიანი პრეზიდენტობისას ჩატარდა სამი მსოფლიო ჩემპიონატი (1962, 1966, 1970), 3 ოლიმპიური ტურნირი (1964, 1968, 1972).

როუზი დაიბადა 1895 წლის 25 აპრილს ინგლისის პატარა ქალაქ ვატფორდში, ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრეთა ოჯახში. ის ბავშვობიდან ვნებულ იყო ფეხბურთზე, როცა ყმაწვილკაცობაში შევიდა მეკარედ თამაშობდა სხვადასხვა სამოყვარულო გუნდებში. ექსტერის კოლეჯის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად ვატფორდის სკოლაში. რა თქმა უნდა, ფეხბურთის თამაშს ის თავს არასდროს ანებებდა, მაგრამ თანდათან ხვდებოდა, რომ მას, როგორც მოთამაშეს, არც თუ ისე დიდი ტალანტი ჰქონდა და მსაჯობაზე გადაიტანა აქცენტი. წარმატებებმაც არ დააყოვნა — ის ინგლისის საუკეთესო მსაჯთა შორის მოექცა. ფიფამ ის საერთაშორისო თამაშების სამსაჯოდაც მიიწვია — სტენლი როუზმა 36 საერთაშორისო მატჩი იმსაჯა. 1934 წელს ის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივანი გახდა და ფიფაშიც დაიწყო მოხელეობა. ფიფაში როუზი ძირითადად თამაშის წესების საკითხებს კურირებდა. მისი იდეით და დაჟინებული მოთხოვნით ბევრმა წესმა მოდერნიზება განიცადა, ხოლო რაც პრეზიდენტი გახდა, რომ იტყვიან ხელ-ფეხი გაეხსნა და რევოლუციური სიახლეც შემოიღო — ყვითელი და წითელი ბარათები. ამან პირველად მექსიკაში, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჰპოვა გამოყენება და დღემდე „საბარათო სისტემის" ავკარგიანობის საკითხი დღის წესრიგში არასდროს დამდგარა. როუზმა დონალ ფორდთან ერთად წიგნიც კი დაწერა — „ფეხბურთის ასოციაციის წესების ისტორია". როუზი 1962 წლამდე ფიფას პრეზიდენტობას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივნობასაც უთავსებდა. სწორედ მისი დიდი მეცადინეობით ერთხელ და სამუდამოდ გამყარდა ხიდი ფიფასა და ბრიტანულ ასოციაციებს შორის.


ხელი ხელსა — არტურ დრევერი და სტენლი როუზი

ინგლისის მეფე ჯორჯ VI ს. მიერ სერის წოდებით პატივდებულ სტენლი როუზს პოზიციები ფიფაში 1974 წელს შეერყა, როცა ასპარეზზე ჟოაო ავლანჟი წარმოჩინდა. ავლანჟი გაცხოველებულად ემზადებოდა როუზთან საპაექროდ. ბევრს მოგზაურობდა, თავის დიპლომატიურ უნარს მაქსიმალურად ხარჯავდა, ახალ პროექტებს ამზეურებდა და განსაკუთრებით იმას უსვამდა ხაზს, რომ თუ მე დამიჭერთ მხარს, მაშინ ფიფას პირველი არაევროპელი პრეზიდენტი მოევლინებაო. და დადგა კონგრესის დროც — 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფრანკფურტში უნდა გადაწყვეტილიყო როუზ-ავლანჟის ბრძოლის ბედი. ავლანჟმა 62 ხმა მიიღო, ხოლო როუზმა 56. მაგრამ გაპრეზიდენტობისთვის ხმების 2/3 იყო საჭირო. დაინიშნა მეორე ტური და ბრაზილიელი 16 ხმის უპირატესობით (68-52) გახდა ფიფას პირველი არაევროპელი პრეზიდენტი.

81 წლის სტენლი როუზი აღელვებულად შეხვდა მარცხს. ის ყველა მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენას ესწრებოდა, კვლავინდებურად ფეხბურთით ცხოვრობდა. 1986 წელს მექსიკაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი კი ბოლო ნეტარება აღმოჩნდა სტენლი როუზისთვის. მას ექიმებმა მექსიკაში ჩასვლა აუკრძალეს, მაგრამ ფიფას ექსპრეზიდენტი შეუვალი აღმოჩნდა და მაინც დაესწრო მონდეალს ექიმთა ჯგუფის თანხლებით. ფინალური მატჩიდან სამი კვირის შემდეგ, 18 ივლისს კი 91 წლის სერ სტენლი როუზმა სული განუტევა.

„ფეხბურთის ჭარმაგი და დიდი კაცი, უკანასკნელი პიონერი, ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენი, რომლის მიერ ფორმულირებული წესები კვლავაც გამოიყენება. დიდი ფიგურა ფეხბურთის ისტორიაში" — აი ასეთი სიტყვებით მოიხსენია უოლტერ ლუტცმა თავის წიგნში „მსოფლიო ფეხბურთის ისტორია" სერ სტენლი როუზი. და მართლაც, ბანალური, ხმამაღალი ფრაზები არასდროს ყოფილა უადგილო დიდი პიროვნებებისთვის.

„FIFA MAGAZINE"-დან
თარგმნა
დათო თავართქილაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში

# ნახევარფინალი – „დინამოს“ გარეშე

მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირზე მინი-ფეხბურთში მეორე და მესამე ტურის მატჩებმა საინტერესო ორთაბრძოლაში ჩაიარა. სხვადასხვა გუნდის მწვრთნელი თავისი ვიწრო, ლოკალური ამოცანის გადაწყვეტას ფიქრობს. არის კოლექტივები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ტურნირის მოგება, უმეტესობა კი ექსპერიმენტებს ატარებს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსს აძლევენ.

### II ტური

**სიონი (ბოლნისი) – არსენალი-2 (თბილისი) 1-2 (IV ჯგუფი)**

*გოლები:* 1-0 სულთანოვი (2), 1-1 ლ. კაპანაძე (28), 1-2 ეგაძე (38).

*გააფრთხილეს:* დვალიშვილი, დალაქიშვილი (ორივე სიონი), ზ. დავითაშვილი, ლ. კაპანაძე, გაგუა (ყველა – არსენალი-2).

*გააძევეს:* გაგუა, ა. კაკაშვილი, ზ. დავითაშვილი (ყველა – არსენალი-2).

*მსაჯი:* სოსო შალამბერიძე (თბილისი).

**გორდა (რუსთავი) – დილა (გორი) 4-3 (III ჯგუფი)**

*გოლები:* 0-1 ციცქიშვილი (6), 0-2 ლ. გოჩაშვილი (7), 1-2, 2-2 კ. ალადაშვილი (28, 30), 3-2 რ. მახარაძე (3-3), 4-2 კ. ალადაშვილი (36), 4-3 ციცქიშვილი (40).

*გააფრთხილეს:* რ. მახარაძე, დ. მენთეშაშვილი (ორივე – გორდა), ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (ორივე – დილა).

*გააძევეს:* რ. ხაჭაპურიძე (დილა).

*მსაჯი:* ზურაბ დოლიძე (თბილისი).

**ლოკომოტივი (თბილისი) – ოდიში (ზუგდიდი) 4-0 (II ჯგუფი)**

*გოლები:* წივწივაძე (8), ხორგუაშვილი (36, 40), ვ. ღუდუშაური (38).

*გააფრთხილეს:* კოტორაშვილი, ბალაშვილი (ორივე – ლოკომოტივი), აფაქიძე (ოდიში).

*გააძევეს:* დავით ჯანელიძე (ლოკომოტივი).

*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**დინამო-2 (თბილისი) – მერანი-91 (თბილისი) 1-1 (I ჯგუფი)**

*გოლები:* 1-0 აფციაური (9), 1-1 გელა ქორიძე (29).

*გააფრთხილეს:* აფციაური, ხიზანიშვილი (ორივე – დინამო-2), გელა ქორიძე, ლომაია (ორივე – მერანი-91).

*გააძევეს:* აფციაური (დინამო-2).

*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

### II ტური

**უნივერსიტეტი (თბილისი) – დილა (გორი) 1-4 (III ჯგუფი)**

*გოლები:* 0-1 ციცქიშვილი (7), 1-1 გონჩაროვი (18), 1-2 ციცქიშვილი (23), 1-3 მარეხაშვილი (25), 1-4 ლ. გოჩაშვილი (35).

*გააფრთხილეს:* ნინუა (თსუ).

*მსაჯი:* ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი).

**სამგურალი (წყალტუბო) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-1 (II ჯგუფი)**

*გოლი:* მინდიაშვილი (34).

*გააფრთხილეს:* ხაჭაპურიძე, ახალაძე, ჯინჭარაძე (ყველა – სამგურალი), ბალაშვილი, მელქაძე (ორივე – ლოკომოტივი).

*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – დინამო-2 (თბილისი) 2-2 (I ჯგუფი)**

*გოლები:* 0-1 საჯაია (3), 1-1 ა. ბოკერია (23), 1-2 მიქაძე (39), 2-2 ა. ბოკერია (40).

*გააფრთხილეს:* მაზიაშვილი, ა. ბოკერია (ორივე ვიტ-ჯორჯია)

ამრიგად, ჯგუფური ტურნირი ასე დასრულდა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | | | |
| ვიტ-ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| დინამო-2 | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| მერანი-91 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-7 | 1 |
| **II ჯგუფი** | | | | | | |
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 3 |
| ოდიში | 2 | 0 | 0 | 2 | 3-10 | 0 |
| **III ჯგუფი** | | | | | | |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 7-5 | 3 |
| გორდა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| თსუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| **IV ჯგუფი** | | | | | | |
| არსენალი-2 | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ლოკომოტივი“ – „დილა“, „ვიტ-ჯორჯია“ – „არსენალი-2“.

# იმნაძემ სააზერბაიჯანოდ გუნდი შეკრიბა

როგორც ცნობილია, 8 თებერვალს, 13 საათზე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურ მატჩში აზერბაჯანელ თანატოლებს შეეჯიბრება (თამაში ავლაბარში, „ისნის“ სტადიონზე ჩატარდება). გიგლა იმნაძემ ამჯერად გუნდში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

*მეკარეები* – გიორგი ლომაია (მერანი-91), გიორგი გაბელია (თსუ);

*მცველები* – კობა ნინუა (თსუ), ედიშერ ალადაშვილი, სოსო დევიძე (ორივე – მერანი-91), მიხეილ მახვილაძე (სამგურალი), გიორგი ჭანკოტაძე (ვიტ-ჯორჯია);

*ნახევარმცველები* – კახა ჩხეტიანი (ტორპედო), რატი ალექსიძე, გივი კვარაცხელია, შოთა ჩომახიძე, არჩილ სახვაძე (ყველა – დინამო თბ.), გიორგი ყიფიანი (არისი, საბერძნეთი);

*თავდამსხმელები* – მიხეილ აშვეთია, კობა წიტაიშვილი, გიორგი შენგელია (ყველა – დინამო, თბ.), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო).

როგორც ხედავთ, გამოძახებულთა შორის მხოლოდ ერთი ლეგიონერია – ყიფიანი. გიგლა იმნაძეს აგრეთვე სურდა დავით მუჯირისა და ვიტალი დარასელიას გამოძახება, მაგრამ მუჯირი ამჟამად აშშ-ს „მეტროსტარზსთან“ არკვევს ურთიერთობას, ხოლო დარასელია ტრავმირებულია.

# თეთრაძე „რომადან“ წამოვიდა

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, იტულიური „რომას“ მცველმა **ომარ თეთრაძემ** გაწყვიტა კონტრაქტი თავის კლუბთან. ფეხბურთელის თქმით, იგი ამ დღეებში დაბრუნდება მოსკოვში, სადაც ორთვიან სამკურნალო კურსს გაივლის (მუხლის ტრავმა მას ლამის ქრონიკულად ექცეს) და მხოლოდ შემდგომში გადაწყვეტს სად გააგრძელოს კარიერა.



# ბლატერს სხვაგვარად არ ძალუძს

გუშინწინ, ფრანკფურტში ყოფნისას ზეპ ბლატერმა კიდევ ერთხელ ნათლად გამოხატა თავისი მხარდაჭერა აფრიკისადმი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. „თუ აფრიკელებს ყველა შესაძლებლობა აღმოაჩნდებათ ასეთი რანგის ტურნირის მასპინძლობისთვის, განსაკუთრებით ტექნიკური ასპექტების და უსაფრთხოების მხრივ, მაშინ მონდიალის შავ კონტინენტზე ჩატარება საუკეთესო ვარიანტად მესახება“ – განუცხადა გერმანულ სააგენტო STD-ს ფიფას პრეზიდენტმა. ბლატერმა იქვე დასძინა, რომ 2006 წლის ჩემპიონატი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩატარდეს ორ ქვეყანაში, როგორც ეს 2002 წელს მოხდება იაპონია – კორეაში. ხოლო თუ იაპონია და კორეა მონდიალის მასპინძლობას ფრიადზე გაართმევენ თავს, მხოლოდ მერე შეიძლება კვლავ დაუშვათ მსოფლიო ჩემპიონატის ორ ქვეყანაში ჩატარების პერსპექტივა.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე 8 ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას და ამ ტენდერში გამარჯვებული ფიფას აღმასკომზე გაირკვევა 2000 წლის 20 მარტს.

ფრანკფურტში ბლატერმა თავისი ახალი იდეის – მსოფლიო ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების მართებულობაზეც ისაუბრა. მისი აზრით ეს უფრო ძლევმოსილს გახდის ეროვნულ გუნდებს, შესარჩევი ციკლის მაგივრობას კი კონტინენტური ჩემპიონატები გასწევს, ასე რომ, საკმარისი „ფანჯრები“ შეიქმნება და ფეხბურთელების გადატვირთვის პრობლემა არ იარსებებსო.



# ყრანტალი მოდაში შედის

მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრებისა და ადგილობრივი პრესის ზეწოლა გუნდის ჰოლანდიელ თავკაც გუს ჰიდინკზე სულ უფრო და უფრო ძლიერდება, რადგან 30 იანვარს ერთ-ერთ ჰოლანდიურ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ სამეფო კლუბის მწვრთნელთან და ჰიდინკმაც შემდეგი წამოროშა: „მადრიდის „რეალი“ სახელგანთქმული კლუბია ძალიან დიდი რეპუტაციით, მაგრამ ცოტა ფულით და ბევრი ვალებით“.

ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია კლუბის ხელმძღვანელებში, გულშემატკივრებში და, საერთოდ, პატივმოყვარე ესპანელებში. ჰიდინკი მშობლიურ პრესაში გამოთქმულს არ უარყოფს, ოღონდ, გლენ ჰოდლის დარად, თავს იმით იმართლებს, რომ მისი ნათქვამი სხვა კონტექსტში გაიგეს.

მაგრამ, მადრიდელები ასე ადვილად რომ ვერ მოლბებიან, უეჭველია. ჰიდინკის „რეალიდან“ მოკვეთაზე ახლა მთელი ესპანური პრესა ალაპარაკდა, არც გულშემატკივრები იჩენენ მიმტევებლობას. მშვიდობისმყოფელის ფუნქცია კლუბის პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა ითავა. „ჰიდინკს არ შეუძლია კლუბის ეკონომიკურ საკითხებზე ლაპარაკი, რადგან მან ამის შესახებ არაფერი იცის. ჩვენ მისგან მხოლოდ წმინდა სპორტულ საკითხებზე უნდა მივიღოთ კორექტივები. ჰიდინკს ვურჩევ აღარ გაიმეოროს მსგავსი კომენტარები“ – განაცხადა სანსმა. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს ჰიდინკის გაპანღურებას, მაგრამ ჰოლადნდიელის კარიერა რომ მუდმივ რისკთან იქნება დაკავშირებული, მადრიდის „რეალში“ ცხადზე ცხადია. თუმცა ჰიდინკი მთლად უვნებლად ვერ გამოძვრა – როგორც დისციპლინის და კლუბის შინაგანაწესის დამზღვევს მას სოლიდურ ფულად ჯარიმას დააკისრებენ.

# ფრანგების წინააღმდეგ ვილკინსონის მეთაურობით



ისეთ ნორმალურ, ცივილიზებულ და განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, არ პატიობენ ოფიციალური პირებს დაუფიქრებლად ნასროლ „ფილოსოფიურ აზრებს“. ჰოდა, გლენ ჰოდლიც მყისვე მიაბრძანეს ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტიდან და მის ნაცვლად დროებით **ჰოვარდ ვილკინსონი** (სურათზე) გაამწესეს, რომელიც აქამდე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორი გახლდათ. მას საკმაოდ კარგი სამწვრთნელო რეპუტაციაც აქვს – ვილკინსონის მთავარსარდლობით – „ლიდს იუნაიტედი“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა 1992 წელს. სანაკრებო ნათლობა და პირველი სერიოზული გამოცდა კი ჰოვარდ ვილკინსონს 10 თებერვალს მოუწევს, როცა ალბიონელები „უემბლიზე“ ამხანაგურ მატჩში შეხვდებიან მსოფლიო ჩემპიონს – საფრანგეთის ნაკრებს.

# ძალზე საჭირო „უცხო“ კაცი

იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებსაც არა აქვთ დიდი სპორტული რეგალიები, მაგრამ ისინი მეტად საჭირო იყვნენ გუნდისათვის, არის გივი ჯორბენაძე. რაც შეეხება მის „უცხოობას“, საქმე შემდეგნაირად იყო. 1947 წელს ლენინგრადში (ახლანდელ სანკტპეტერბურგი) მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო, რომლისთვისაც თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები იყვნენ ყურადღების ცენტრში – ეს სკოლა უკვე ორი წლიწადი არსებობდა და იგი საქართველოს საუკეთესო ჭაბუკებს უყრიდა თავს. ამდენად, ალარავის აეჭვებდა, რომ საქართველოს ნაკრები, რომელსაც ნევისპირა ქალაქში ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა მიენდობოდა, ოცდამეთხუთმეტელთაგან უნდა შემდგარიყო. და მაინც, გუნდის ხელმძღვანელობამ, „ე, მანდ არავინ გამოგვრჩესო“, გადაწყვიტა საქალაქო შეჯიბრება-დათვალიერება ჩაეტარებინა. და მართლაც, აღმოჩნდა რომ მე-11 ვაქეთა სკოლის მცველს ბადალი არ ჰყავდა ოცდამეთხუთმეტელთა შორის. ასე მოხვდა ერთადერთი „უცხო“ ფეხბურთელი ნაკრებში. თუმცა, აბა, რა „უცხო“ ეთქმოდა ნინოშვილის ქუჩაზე გაზრდილს, რომელიც იქვე, ცხვირწინ, მდებარე სტადიონზე იმავე 35-ე სკოლელებთან ერთად დასდევდა ბურთს. ამდენად, „ამბიციურ“ ოცდამეთხუთმეტელებს მასთან ურთიერთობაში და, რაც მთავარია, თამაშში პრობლემა არ შექმნიათ. პირიქით, იგი შესანიშნავად „ჩაჯდა“ ანსამბლში, რომელიც ასე გამოიყურებოდა: კოტე პაიჭაძე (გოდერძი მინდიაშვილი), გრიგოლ ნიკურაძე, ოთარ ალავიძე, გივი ჯორბენაძე, ნოდარ მიხაილოვი, ზურაბ ბარათაშვილი, ანდრო კიკაბიძე, გივი ფაცურია, ვოვა ივანოვი, ბიძინა ტაბიძე, გივი ხუციშვილი.

ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა საქართველოს ნაკრები საკავშირო პირველობაზე, სადაც შესანიშნავად გაიარა შეხვედრები ფინალამდე და გადამწყვეტ მატჩში ლიტვის ნაკრებს შეხვდა. აქ ქართველ ჭაბუკებს ხელიდან გამოსტაცეს ჩემპიონობა და მსაჯის „აქტიურობით“ გამარჯვება (2-1) ბალტიისპირელებს დარჩათ. ამ შეხვედრაში სინქრონულად მოქმედებდა ჩვენი დაცვის – ალავიძე-ჯორბენაძის წყვილი. პირველი მათგანი, რომელსაც საიმედო პარტნიორი ეგულებოდა, ხშირად ტოვებდა დაცვას და თავდასხმით ოპერაციებში ებმებოდა. ამიტომაც, მომდევნო წელს იმ გუნდიდან თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობისათვის რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელი შეარჩიეს, კერძოდ, გ. ფაცურია, ზ. ბარათაშვილი, ო. ალავიძე და გივი ჯორბენაძე, იმავე 1948 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობა, საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდების: თბილისის, მოსკოვის, კიევის, მინსკის, ლენინგრადის მონაწილეობით. ეს იყო გ. ჯორბენაძის ერთ-ერთი სერიოზული გამოცდა, რომელშიც მან ტოლი არაფერში დაუდო ქვეყნის ასებს, განსაკუთრებით დაამახსოვრდა მას მოსკოველთა ცხობილი მარცხენა გარემარბის სერგეი სოლოვიოვთან პირისპირ შეხვედრა ფინალში, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ, გ. ჯორბენაძის აქციებმა გუნდში საგრძნობლად აიწია. ეს უფრო მას შემდეგ გახდა ნათელი, როცა „დინამოს“ მიხეილ იაკუშინი ჩაუდგა სათავეში. მისთვის არ არსებობდა ავტორიტეტები ფეხბურთში და გუნდში კონკურენციის მომხრე გახლდათ. ამიტომაც „დინამოს“ ძირითად მცველებს ვლადიმერ ელოშვილსა და იბრაგიმ სარჯველაძეს ხშირად ახსენებდა, „ნუ მოდუნდებით, მეტი სერიოზულობით ივარჯიშეთ, ნუ ერიდებით დატვირთვას, თორემ „კვალში მოგყვებათ ჯორბენაძე...“ გუნდის ეს პირველი ნომერი მცველებიც თავს არ ზოგავდნენ, თავგამოდებით ვარჯიშობდნენ ადგილის შესანარჩუნებლად. „ცბიერ მიხეით“ ცნობილი იაკუშინი გუნდის ძირითადი შემადგენლობის სერიოზულ პრეტენდენტად მიიჩნევდა ჯორბენაძეს, გულმოდგინედ ადევნებდა თვალს მის თამაშს დუბლშემადგენლობაში. საკავშირო პირველობის იმდროინდელი გათამაშების სისტემა ასეთი იყო: ძირითადი შემადგენლობის მატჩს, წინ უსწრებდა დუბლშემადგენლობის თამაში. ჰოდა, კუიბიშევის (დღევანდელი სამარას) „კრილია სოვეტოვთან“ დუბლების მატჩი ქალაქიდან ასეული კილომეტრით შორს – ქ. პავლოვ-ნა-ოკეში ჩატარდა, სადაც გუნდი მეორე მწვრთნელმა მიხეილ მინაევმა ჩაიყვანა თბომავლით. გემზე იაკუშინი არ ყოფილა. დამთავრდა პირველი ტაიმი და... გასახდელში გაჩენილა „მიხეი“, რომელსაც ჯორბენაძე შეუქია და შენიშვნებიც მიუცია. თურმე მთავარი მწვრთნელი მას მომდევნო, სათასო შეხვედრისათვის ამზადებდა და მართლაც, შემდეგ შეხვედრაში პეტროზავოდსკის გუნდთან გ. ჯორბენაძემ მთელი თამაში ითამაშა. და არც თუ ურიგოდ, რის შემდეგ, ყოველ მატჩში, სამარქაფო მოთამაშედ ირიცხებოდა... გივი ჯორბენაძის თამაში კარგად დაამახსოვრდათ ქ. ივანოვოელ ფეხბურთის მოყვარულებს. ძველ ქომაგებს ახსოვთ, რომ რუსეთის ამ ქალაქში დიდხანს მოღვაწეობდა და ნაყოფიერადაც ანდრო ჟორდანია – „კრასნოე ზნამიას“ წვრთნიდა და საქართველოდან იწვევდა ფეხბურთელებს. ერთ-ერთი ექსპორტიორი მოთამაშე ჯორბენაძეც იყო ძმებ ფაცურიებთან და სხვებთან ერთად.

გივი ჯორბენაძე წარმატებით იცავდა თბილისის „ფერფლიდან აღმდგარ“ „სპარტაკის“ ღირსებას, რომელსაც ვახტანგ (დუკა) რამიშვილი ჩაუდგა სათავეში, იმავდროულად, სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაშინ სპორტსმენი – სტუდენტები არავითარი შეღავათებით, გრაფიკით და ასე შემდეგ, არ სარგებლობდნენ, საგამოცდო სესიები დროზე ადრე უნდა ჩაებარებინათ, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი მის საფეხბურთო კარიერას... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, უკვე 40 წელიწადია ქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამმართველოს რაიონული რგოლის სამსახურის უფროსად მსახურობს და ფეხბურთის უდიდესი სიყვარულით, აქტიურად ცხოვრობს დღესაც 70 წლის ვეტერანი.

აი, როგორ შეფასებას აძლევს გ. ჯორბენაძის თამაშს ვ. ელოშვილი: „გივი არ ყოფილა პერსონალური „მეურვეობის“ მცველი, ჩრდილივით რომ აედევნებიან ხოლმე მთელ თამაშში თავიანთ ვიზავის. იგი პოზიციური დაცვის მომხრე იყო, რომელიც ადვილად ხვდებოდა მეტოქის „წიაღსვლებს“ და იქ დახვდებოდა ხოლმე. ამით ძალზე წაადგა საშა ჩივაძეს... გუნდისთვის მეტად სარგებლიანი მცველი გახლდათ.

**უშანგ ჭიჭინაძე**



სურათზე: იგი ვეტერან დინამოელებს – პანიუკოვს, დოროხოვს, შუდრას ზაზროევს, ძიაპშიპას, ვარდიაშვილს, [illegible]კილაძეს, ელოშვილსა და კუბლაშვილს შორისაც არ ყოფილა „უცხო“ ფეხბურთელი. მარჯვნიდან მეორეა გ. ჯორბენაძე.

# ფეხბურთის ვარსკვლავებზე ფირმებიც ნადირობენ


ოუენი

მარტო საკლუბო გუნდებს როდი სურთ მათი ხელში ჩაგდება, ვარსკვლავებსა და გუნდებზეც ნამდვილი „ნადირობა" აქვთ გამოცხადებული საფეხბურთო ამუნიციის მწარმოებელ ფირმებსაც. ამისათვის საკმარისია მოთამაშემ პრესის ყურადღება დაიმსახუროს, რომ ფირმების მსტოვრები უმალ გაჩნდებიან მის ირგვლივ სხვადასხვა სარეკლამო წინადადებებით. რეკლამის გამო ფირმები არც დიდ ხარჯებს გაურბიან; ოღონდ ტელერეპორტაჟის მსვლელობისას, რომელსაც მილიონობით მაყურებელი ადევნებს თვალს, ფირმის ნახელავმაისურიანმა მოთამაშემ გაიელვოს ცისფერ ეკრანზე და რაც უფრო სადღეისოდ პოპულარულ ფეხბურთელს დაიგულებს ფირმა, ამით პირველ ყოვლისა მას არ ასცდება გაფურჩქვნა, რაც დიდ შემოსავალს მისცემს.

ამიტომ, არავისათვის არ ყოფილა მოულოდნელი, რომ „მონდიალი-98"-ის აღმოჩენაზე, ინგლისელ ჭაბუკ მაიკლ ოუენზე დღეს უკვე „წეწვა-გლეჯაა".

უკვე ხელი მოეცარა მასთან კონტრაქტის გაფორმებაში ცნობილ ფირმა „დებენჰამსს", რომელსაც 19 წლის ფეხბურთელთან სამ მილიონ გირვანქა სტერლინგის კონტრაქტის გაფორმება სურდა, ფეხბურთელს 1999 წელს ამ ფირმის წარმოების სპორტული ტანსაცმლის ახალი კოლექციით რომ მოეწონებინა თავი. მაგრამ, თურმე, მაიკლზე ყადაღა ჰქონია დადებული არანაკლებ პოპულარულ კომპანია „უმროს", რომელსაც ოუენთან ექსკლუზიური ხელშეკრულება დაუდევს, რის ძალითაც იგი მხოლოდ ამ მარკის ტანსაცმელს გაუწევს რეკლამას. კონტრაქტი ჯერ კიდევ შარშან ყოფილა ხელმოწერილი ექვსი წლის ვადით და იგი მანჩესტერის ფირმას 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. სულ კი, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც ოუენის სახელი ამობრწყინდა, სააგენტომ, რომელიც მის ინტერესებს იცავს, 5 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი თანხის 400 კომერციული წინადადება უარჰყო.

# „ადიდასი" არ ჩამოდის სცენიდან

ამას წინათ „ლელო" იუწყებოდა, რომ არგენტინის ცნობილმა კლუბმა „პენიაროლმა", რომ იტყვიან, ცხვირწინ მოიხურა კარი საქვეყნოდ ცნობილ ადიდასს, რომლის ეკიპირებით არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოუპოვებია ამ პოპულარულ გუნდს და „რებოკთან" დაიჭირა საქმე. მაგრამ „დასლერთა" ფირმა „ორივე ფეხზე" მტკიცედ დგას და არ კარგავს მარკის სახელს. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ადიდასმა ხელი მოაწერა კონტრაქტს იტალიის „რომაში" გადასულ ბრაზილიელ ფორვარდ ფაბიო ჟუნიორთან. ფირმის წარმომადგენელს მიაჩნია: „ფაბიო ჟუნიორი ბოლო წლების ერთ-ერთი ელვარე ტალანტია, იგი ადიდასისათვის სიმბოლოა — მასთან ერთად ახალ ათასწლეულში შევალთ". 21 წლის ფეხბურთელთან, რომელმაც უკვე თვალსაჩინო გამარჯვებების მოპოვება მოასწრო, მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს და იგი თანაკლუბელ ომარ თეთრაძესთან და დმიტრი ალენიჩევთან ერთად ადიდასის ახალი წარმოების ბუცებით გამოვა მინდორზე.

სხვათა შორის, ალბათ ბევრმა არ იცის ადიდასის ბუცებთან დაკავშირებული საკმაოდ პიკანტური ამბავი, რომლის „ავტორი" ცნობილი ქართველი ნახევარმცველი გიორგი სიჭინავა გახლავთ, რომელსაც ინგლისის VIII მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც იგი სსრ კავშირის ნაკრების სახელს იცავდა, ერთდროულად, გარკვეული გასამრჯელოთი, რა თქმა უნდა, ადიდასთან ერთად, მისმა კონკურენტმა ფირმა პუმამ შესთავაზეს, რომ მათი ნაწარმის ბუცებით ეთამაშა მატჩი. ქორას დიდხანს არ უყოყმანია არჩევანისათვის და ორივე ფირმის ცალ-ცალი ბუცით გამოვიდა მინდორზე...

მოამზადა ჭ. უნბიაძემ

### მატჩის მსვლელობაში ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ

„რეალისა" და „ლა-კორუნიას" ამასწინანდელი მატჩის ტრანსლაციაში ტელეარხმა „კანალ+"-მა უცნაური ამბები აღბეჭდა. „რეალის" ფეხბურთელები უფრო ერთმანეთთან ურთიერთობას არკვევდნენ: ზეედორფი ედავებოდა მიატოვიჩს, პანუჩი — სანჩისს, იგივე ზეედორფი — პანუჩის, იგივე ზეედორფი და პანუჩი — მწვრთნელ ჰიდინკს. შემდეგ ყველა მათგანს ახსნა-განმარტებების მიცემა მოუხდა. მათ, ცხადია, საყვედური მიიღეს, თუმცა თავისმართლება სცადეს. ზეედორფი: „ეს ყველა გუნდში ხდება. საჭიროა მინდორზე მეტი ლაპარაკი, რომ უკეთ ვითამაშოთ". მიატოვიჩი: „იმიტომ ვკამათობდით, რომ მატჩის ზოგ მომენტში თავს უძლურად ვგრძნობდით".

### ბრანკა, ეტყობა, ამთავრებს

შარშანდელ სეზონში 34 წლის იტალიელმა თავდამსხმელმა მარკო ბრანკამ, 10 გოლი გაიტანა, რითაც დაეხმარა ინგლისურ „მიდლსბროს" პრემიერ-ლიგაში დაბრუნებაში. დროს თავისი გააქვს. როგორც „მიდლსბროს" დირექტორ-აღმასრულებელმა კიტ ლემმა განაცხადა, ბრანკა გუნდს დატოვებს და, როგორც ფიქრობენ, საერთოდ, დაანებებს თავს თამაშს.

### არ სურს სალენკო

ცნობილ თავდამსხმელ ოლეგ სალენკოს სხვადასხვა ქვეყანებში ხანგრძლივი თამაშის შემდეგ ძალიან სურს თავის ყოფილ კლუბ „ზენიტში" დაბრუნება, მაგრამ ანატოლი დავიდოვი, რომელმაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანატოლი ბიშოვეცი შეცვალა, წინააღმდეგი აღმოჩნდა.

მიზეზი? დავიდოვმა თქვა, რომ, ჯერ ერთი, სალენკო სრულად განკურნებული არ არის, და, გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში არც სერიოზული სათამაშო პრაქტიკა ჰქონია.

### 3 აპრილს დაიწყება

როგორც პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობა და რუსეთის ფეხბურთელთა კავშირი შეთანხმდნენ, ქვეყნის 1999 წლის ჩემპიონატი უმაღლეს დივიზიონში 3 აპრილს დაიწყება.

### „სპორტინგი" გლოვას აცხადებს

ლისაბონის „სპორტინგმა" თავის გულშემატკივრებს მოუწოდა სტადიონზე სამგლოვიარო სამოსში გამოცხადდნენ. რატომ? ასე აპირებენ გუნდის ფეხბურთელები და ხელმძღვანელები პროტესტი გამოუცხადონ მსაჯებს, რომლებიც თითქმის მათ სისტემატურად ჩაგრავენ და ჩემპიონატში უკვე 10 ქულა დააკლეს. ახლა კლუბი მთელი 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ „პორტუს" და ამდენად ჩემპიონობისათვის ბრძოლის შესაძლებლობა თითქმის აღარა აქვს.

„სპორტინგი" იმასაც კი მოითხოვდა, რომ მისი მატჩებისათვის უცხოელ არბიტრებს ემსაჯათ და თანახმა იყო მათთვის გასამრჯელო გადაეხადა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# პოლანდიური „ბარსელონა" შეუჩერებელი ხდება

## ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

დაიწყო ესპანეთის პირველობის მეორე წრე. კარგა ხანია ჩემპიონობისათვის ასეთი მწვავე ბრძოლა არა ყოფილა. ახლა ლიდერსა და მერვე ადგილზე მყოფ გუნდებს ერთმანეთისაგან მხოლოდ 4-4 ქულა აშორებთ, ეს კი თავისთავად მრავლისმეტყველია.

სულ რამდენიმე ტურის წინ სერიოზულად იდგა „ბარსელონას" ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალის განთავისუფლების საკითხი. კატალონიური კლუბის თამაში უსახური იყო, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები „სისხლის გამოშვებას" მოითხოვდნენ. ვის აღარ ასახელებდნენ გაალის შემცვლელად, თვით გაალს კი ჰოლანდიაში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ. შემდეგ კლუბის დირექტორატმა, რომელსაც ცეცხლივით ეშინია გუნდში იქვე ბარსელონაში „ჩასაფრებული" იოჰან კრუიფის დაბრუნებისა, მაინც გადაწყვიტა ვან გაალისათვის დრო მიეცა. ამასობაში თავიანთ ყოფილ „მენტორს", რომ იტყვიან, სულზე მიუსწრეს ტყუპმა ძმებმა ფრანკ და რონალდ ბურებმა. ამ ორმა დიდმა ოსტატმა თითქმის მიძინებული გუნდი გამოაცოცხლა, ახლა „ბარსა" მატჩს მატჩზე იგებს და 37 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა.


რივალდო

მეცხრამეტე ტურში „ბარსელონამ" ლამაზი სტილით მოუგო „სარაგოსას" — 3-1. აქ ჩინებულად ითამაშეს არა მარტო ტყუპმა ძმებმა, არამედ კიდევ ერთმა ჰოლანდიელმა კოკუმ. რაც შეეხება ბრაზილიელ რივალდოს, იგი ადრეც მშვენიერად თამაშობდა. თანდათან აუმჯობესებენ საბრძოლო მზადყოფნას ლუის ენრიკე და ფიგუ. ერთი სიტყვით, „ბარსელონა" ნამდვილად არ აპირებს ჩემპიონობის დათმობას და თუ ეს განახორციელა, ლაპარკი ვან გაალის შეცვლის შესახებ ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

ამჟამად ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება „ვალენსია". ამ კარგად დაკომპლექტებულმა კლუბმა ზედიზედ მოიგო სტუმრად ორი მნიშვნელოვანი მატჩი. პირველი წრის ბოლო შეხვედრას „ვალენსია", „მალიორკასთან" ატარებდა, რომელიც მიმდინარე სეზონის ნამდვილ აღმოჩენად ითვლება, „მალიორკა", რომელსაც ექტორ კუპერი წვრთნის, ბევრს უტევდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჯერ იყო და დანიმ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი, მეორე ტაიმში არგენტინელ კლაუდიო ლოპესისაგან გოლი გაუშვა და დაკარგა შესაძლებლობა პირველ წრეში გამარჯვებული გამხდარიყო. ამის შემდეგ „ვალენსიამ" მადრიდში დამაჯერებლად სძლია „ატლეტიკოს" — 2-1 და ასევე აქვს პირველი ადგილისათვის ბრძოლის პრეტენზია. არიგო საკის კლუბის დამარცხება მით უფრო მწარე იყო, რომ წინა ტურში მან მოუგო ვიგოს „სელტას" (2-1), მიმდინარე სეზონის კიდევ ერთ აღმოჩენას.

ახლა „მალიორკა" 35 ქულით მესამე ადგილზეა, მან თანდათანობით დაკარგა ის უპირატესობა, საშობაო დღესასწაულის წინ რომ მოიპოვა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — შარშანდელთან შედარებით კლუბს აშკარა პროგრესი აქვს. ესეც კიდევ ერთი ჩემპიონობის პრეტენდენტი!

მადრიდის „რეალს" ციებ-ცხელება შეეყარა. საკონტინენტთაშორისო და ჩემპიონთა თასის მფლობელი თითქმის საბრძოლო შემადგენლობით ეთამაშა სტუმრად გალისიურ „ლაკორუნიას", მართალია, სამეფო კლუბს, როგორც სტატისტიკოსები აცხადებდნენ, უკვე რვა წელია არ გაუმარჯვნია „რიასორას" სტადიონზე, მაგრამ იგი აპირებდა ამ ტრადიციის დაძლევას. ნურას უკაცრავად- „რეალმა" სასტიკი, დამამცირებელი დამარცხება განიცადა. 0-4, ამასთან, პირველივე ტაიმში სამი ბურთი გაუშვა. მას აკლდა ერთადერთი წამყვანი მოთამაშე ფერნანდო იერო (რომელიც მომდევნო ტურში უკვე გამოვიდა მინდორზე), ისე რომ, ესოდენ მძიმე დამარცხების ახსნა ერთობ ძნელი იყო. გუს ჰიდინკს (როგორც ესპანელი მიმომხილველები იუწყებიან, ეს ჰოლანდიელი სპეციალისტი ზაფხულიდან არავითარ შემთხვევაში აღარ დარჩება გუნდში) თავი არც უმართლებია: „მასპინძლებმა ეფექტური თამაშის კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარეს. მათ ყველა შექმნილი ხელსაყრელი შესაძლებლობა გამოიყენეს, ჩვენ კი სრულიად იოლად ვაჩუქეთ მათ ორი გოლი. არის ჩვეულებრივი წაგება, ამასთან, არის ისეთი დამარცხებაც, რომლის ნება საკუთარ თავს უბრალოდ, არ უნდა მისცე. აი სწორედ ასეთი იყო ეს მარცხი. ის შეცდომები, რაც დაცვაში მოგვივიდა, მხოლოდ მცველების კი არა, მთელი გუნდის სინდისზეა. განსაკუთრებით ცუდად ითამაშა მეკარე ილგნერმა, რომელიც მომდევნო თამაშში აღარ გამოსულა მინდორზე და შუკერმა (რომელიც სავიოთი შეიცვალა). ხორვატ თავდამსხმელს, ექსპერტების აზრით, მისი დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, მალე მოუწევს „რეალის" დატოვება. მომდევნო მატჩში სტუმრად „რეალმა" ანგარიშით 2-0 დაამარცხა „ვილიარეალი". ამასთან, კარგად ითამაშა ახალგაზრდა თავდამსხმელმა მორიენტესმა, რომელსაც დიდ მომავალს უქადიან. ფიქრობენ, რომ გუნდში რომელსაც ჰყავს მიატოვიჩი, რაული, და მორიენტესი, სხვა თავდამსხმელებს კარგა ხანს გასაქანი არ ექნებათ.

„რეალს" 34 ქულა აქვს. ამდენივე დარჩა ვიგოს „სელტას", რომელმაც წააგო ბოლო ორი მატჩი და თუმცა შარშანდელთან შედარებით უკეთესად თამაშობს, მაინც თანდათან უკან დახევა უხდება. იყო მომენტი, როცა გალისიური კლუბი პირველ ადგილზეც კი იყო. მაშინ ძლიერად თამაშობდა მოსტოვოისა და კარპინის „რუსული დუეტი", ახლა კი არც ერთი გამოირჩევა და არც მეორე. „სელტას" მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა მთლად დაკარგა მოთმინება და მადრიდის „ატლეტიკოსთან" შეხვედრაში ლანძღავდა არბიტრს, რისთვისაც საყვედურიც მიიღო. 33-33 ქულა აქვთ ბილბაოს „ატლეტიკსა" და „ლა-კორუნიას". „ატლეტიკის" მწვრთნელ ლუის ფერნანდესს ჯერჯერობით დიდი იმედები აქვს. მართალია მას, ცოტა არ იყოს, არ უმართლებენ თავდამსხმელები. მადრიდის „ატლეტიკოს" 32 ქულა აქვს.

აი, ჯერჯერობით ეს კლუბები იბრძვიან საპრიზო ადგილებისათვის, ბოლო სამეულში კი „სალამანკა", „ესტრამადურა" და „ალავესი" არიან, ხიფათი „ტენერიფესაც" ემუქრება.

როგორც ვხედავთ, სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში სისტემატური ცვლილებებია, მაგრამ თანდათან დიდმა კლუბებმა ჩვეული ადგილები დაიკავეს. მორიგი, 21-ე ტური კვირას, 7 თებერვალს გაიმართება. თამაშები სეზონის ბოლომდე (20 ივნისამდე) მკაცრად, გრაფიკის თანახმად მხოლოდ კვირაობით ჩატარდება.

„ბარსელონა" ჯერ სტუმრად აუტსაიდერ „ესტრამადურას" ხვდება და მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ უნდა დაადგეს. აი 14 თებერვალს კი, ჩემპიონატის მეორე წრისა, და, შეიძლება ითქვას, მთელი პირველობის ცენტრალური მატჩი გაიმართება „ნოუკამპზე", სადაც „ბარსელონა" თავის ისტორიულ მეტოქეს, მადრიდის „რეალს" მიიღებს. რა სატურნირო მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეთ ამ გუნდებს, მათი შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და ხშირად უხეში თამაშითაც ხასიათდება. ჯერ ჩემპიონატის ფინიშამდე, სად არის, მაგრამ მაინც, მაინც... ერთმანეთს ორი ჰოლანდიელი მწვრთნელი უპირისპირდება, რომელთაგან გუს ჰიდინკის პოზიციები საკმაოდ შერყეულია, ვან გაალი თავს მტკიცედ გრძნობს, მაგრამ ამ ერთი მატჩის შედეგმა შეიძლება ყველაფერი შეცვალოს.


რაული (თეთრ მაისურში) — „რეალის" თავდასხმის ლიდერი

დიდი მნიშვნელობა ექნება კვირის „ვალენსია" — „ლა კორუნიას" შეხვედრას, „რეალს" საკუთარ მინდორზე არ უნდა გაუჭირდეს „ვალიადოლიდთან", „მალიორკას" ძნელი შეხვედრა მოელის ბარსელონაში „ესპანიოლთან". რა თქმა უნდა, მუდმივი ოპტიმისტი არიგო საკი ფარხმალს არა ჰყრის. მის „ატლეტიკოს" გასვლითი მატჩი აქვს აუტსაიდერ „სალამანკასთან" შემდეგ კი „ვისენტე კალდერონის" სტადიონზე ბარსელონას „ესპანიოლს" მიიღებს.

ბივი გამრეკელი

# ნბა-ფე დღეს დაიწყება



დღეს, გვიან ღამით, როგორც იქნა დაიწყება ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მორიგი ჩემპიონატი, რომელიც ლოკაუტის გამო შეჩერებული იყო. ცხადია, ქართველ გულშემატკივრებს ყველაზე ძალიან სიეტლის „სუპერსონიქსის" მატჩები აინტერესებთ. სწორედ ამ გუნდში ჩაირიცხა ამას წინათ ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ სტეფანია.

გთავაზობთ სიეტლელთა მატჩების თებერვლის განრიგს: 5 თებერვალი — სიეტლი — დალასი; 7. სიეტლი — პორტლენდი; 9. სიეტლი — გოლდენ სტეიტი; 10. გოლდენ სტეიტი — სიეტლი; 13. სიეტლი — დენვერი; 16. სიეტლი — იუტა; 17. სიეტლი — საკრამენტო; 20. იუტა — სიეტლი; 21. სიეტლი — ლეიკერსი; 23. ჰიუსტონი — სიეტლი; 24. სან-ანტონიო — სიეტლი; 26. სიეტლი — სან-ანტონიო.

# ცნობები ფიდეს სამდივნოდან

ფიდეს პრეზიდენტის საბჭომ გამოაცხადა, რომ მსოფლიო პირველობის ფინალი ჩატარდება ლას-ვეგასში (აშშ) 19 ივნისიდან 17 ივლისამდე. საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია, ბრძოლაში კი 100 დიდოსტატი ჩაებმება. დეტალები თანდათანობით დაზუსტდება.

მომდევნო, მსოფლიოს 2000 წლის პირველობა ნოემბრის პირველ კვირას დაიწყება. ყოველი მომდევნო მსოფლიო პირველობა ზუსტად ამავე ვადაში, ნოემბერ-დეკემბერში უნდა ჩატარდეს (რომ ხელი არ შეუშალოს უმნიშვნელოვანეს სუპერ-ტურნირებს).

ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩისადმი მიმართვაში დაადასტურა, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ყველა წევრი ოლიმპიური იდეალების ერთგულია.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჟუჟა პოლგარსა (უნგრეთი) და სიე ჟუნს (ჩინეთი) შორის დაიწყება მაისის მიწურულს ან ივნისის დასაწყისში. მატჩის საბოლოო თარიღი ფიდეს პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს.

პრეზიდენტის საბჭომ ეროვნულ ფედერაციებს მოუწოდა ემზადონ ფიდეს 75-ე წლისთავისათვის მიძღვნილი ზეიმისათვის, რომელიც პარიზში, ლას-ვეგასსა და დოხაში ჩატარდება ფიდეს საპატიო პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესის ხელმძღვანელობით.



# აშშ-ს პირველობა «ახალი ფიშერით»?

აშშ-ს პირველობებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის შესარჩევი შეჯიბრების სტატუსიც აქვს.

ქალთა ზონალური ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა და მას კიშინიოვის, სადაც სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, ორი საგზური მიენიჭა. ამჯერად ბრძოლაში არ ჩაბმულან მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტები ირინა ლევიტინა და ელენე ახმილოვსკაია, რომლებმაც გზა ახალგაზრდებს დაუთმეს.

ძალიან მალე გაირკვა პირველი საგზურის ბედი. პირდაპირ ფიშერისებური შედეგით — 8,5 ქულა 9 შესაძლებლიდან აშშ-ს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა ყოფილმა ოდესელმა ირინა კრაშმა (დაიბ. 1983 წლის 24 დეკემბერს). ასეთი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად „ექს-ოდესელმა ფიშერმა" უკვე მოიპოვა არაერთი წარმატება. მან „ელისტის ოლიმპიადაზე" 11 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, რაც აშშ-ს გუნდში საუკეთესო შედეგი იყო, ხოლო 20 წლამდე ქალიშვილებს შორის მსოფლიო პირველობაზე (სადაც ქართველებმა უსახსრობის გამო ვერ მოახერხეს მონაწილეობა) 13 შესაძლებლიდან 9 ქულით მესამე ადგილზე გავიდა.

6,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და ასევე მოიპოვა საგზური 20 წლის ანა ხანმა, ხოლო მესამე ადგილზე 16 წლის ჯენიფერ შახეიდია. აშშ-ს ქალთა ჭადრაკი მკვეთრად გაახალგაზრდავდა.

აშშ-ს ვაჟთა ჩემპიონატს 6 საგზური მიენიჭა. იგი შერეული სისტემით გაიმართა. 16 მონაწილე, რომელთაგან 8 ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული დიდოსტატი იყო, ორ ჯგუფად დაყვეს. აქედან ორ-ორი გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა, მესამე ადგილებზე გასულები კი ასევე იღებდნენ ლას-ვეგასის საგზურებს.

A ჯგუფში შეჯიბრება ასეთი შედეგით დასრულდა: 7 შესაძლებლიდან 5 ქულით პირველ ადგილზეა ნიკ დე ფირმიანი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა დმიტრი გურევიჩი. მესამე-მეხუთე ადგილები 4-4 ქულით გაიყვეს სერგეი კუდრინმა, იასერ სეირავანმა და რომან ჯინჯიხაშვილმა. რახან მესამე ადგილი ლას-ვეგასის საგზურს იძლეოდა, საჭირო გახდა დამატებითი შეჯიბრების გამართვა. ჯინჯიხაშვილმა სწრაფი ჭადრაკის თამაში არ მოისურვა, კუდრინმა კი ორივე დამატებითი პარტია მოუგო სეირავანს.

B ჯგუფში 1-4 ადგილები 4-4 ქულით გაიყვეს ქვეყნის წინა ჩემპიონატის გამარჯვებულმა ჯოელ ბენჯამინმა, ტალ შაკედმა, ბორის გულკომ და ჯონ ფედოროვიჩმა, დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება, პირველი ადგილი ბენჯამინს ხვდა. მეორე-მესამე ადგილები შაკედმა და გულკომ დაიკავეს. მათ შორის დამატებით მატჩში შაკედმა იმარჯვა, მაგრამ საგზური გულკოსაც ერგო.

ნახევარფინალურ მატჩებში ბენჯამინმა ანგარიშით 2,5:0,5 სძლია გურევიჩს, დე ფირმიანმა კი ანგარიშით 2,5:0,5 — შაკედს.

ფინალური მატჩი დე ფირმიანმა ანგარიშით 2,5:1,5 მოუგო ბენჯამინს და აშშ-ს ჩემპიონი გახდა.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მსოფლიო პირველობის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ნიკ დე ფირმიანმა, ჯოელ ბენჯამინმა, დმიტრი გურევიჩმა, ტალ შაკედმა, სერგეი კუდრინმა და ბორის გულკომ.

## „თურქმენი პოლგარები"

ელისტის ოლიმპიადაზე თურქმენეთის ნაკრებში სამი და იყო. ჟურნალისტები ესაუბრნენ მათ მამას ათა ოვეზოვს.

● ***ალბათ, მოსვენებას არ გაძლევდათ დები პოლგარების სახელი და დიდება?***

— არა, პოლგარები არაფერ შუაში არიან. 4 ქალიშვილი და 4 ვაჟი მყავს, ისე რომ, ქალებთან ერთად ვაჟთა ნაკრების შედგენაც შემიძლია. ჩემი ვაჟი არტიუკი შედის კიდეც თურქმენეთის ნაკრებში, მეოთხე დაფაზე თამაშობს. ჩვენ თავისებური წესით ვცხოვრობთ, გვყავს 10 ძროხა, ბევრი ცხვარი, ოთხი აგარაკი, მაღაზია. ყველანი ვმუშაობთ და თავისუფალი დრო თითქმის არცა გვაქვს. არ იფიქროთ, რომ ჩემი ქალიშვილები ნაკრებში ვინმეს გასაკვირვებლად შეიყვანეს. არა, მათ ეს უფლება დაიმსახურეს. მათ საპრიზო ადგილები დაიკავეს ქვეყნის ჩემპიონატში, სადაც 16 უძლიერესი ქალი მონაწილეობდა. მეხრის საერთაშორისო ოსტატის წოდება აქვს, იგი ოც წლამდე ქალიშვილების ორი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია. ერევნის ოლიმპიადაზე პირველ დაფაზე ოქროს მედალი მოიპოვა. მაისა და მარალიც ოსტატები არიან. ამ სამმა დამ ისლამური ქვეყნების ჩემპიონების წოდება მოიპოვა. ჩემი შვილები სწავლობენ. პაპაჩემი მწყემსი იყო, მაგრამ ჭადრაკს კარგად თამაშობდა. მამაჩემი თურქმენეთის ჩემპიონატების პრიზიორი იყო, სიძე გეჩმურადს, რომელმაც მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭადრაკო განყოფილება დაამთავრა, ოსტატის წოდება აქვს. მე პედაგოგი ვარ, უნივერსიტეტში ვასწავლიდი. ჩემი შვილიშვილები რომ გაიზრდებიან, ასევე მოჭადრაკეები გახდებიან...

# საიუბილეო, 70-ე ჩემპიონატი

გერმანიის საიუბილეო, 70-ე ჩემპიონატმა თავი მოუყარა ქვეყნის ყველა წამყვან დიდოსტატს, რომელთა შორის ზოგი წარმოშობით ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაა. არ თამაშობდა მხოლოდ ვლასტიმილ ჰორტი, წარსულში ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონი.

შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. ამჯერად სუსტად ითამაშეს არტურ იუსუპოვმა და რუსტემ დაუთოვმა. ორივე ეროვნებით თათარია, ამასთან, იუსუპოვი, როგორც მკითხველს მოეხსენება, არც ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტიც იყო.

სწორედ იუსუპოვს მოუგო მეტად ეფექტურად ახალგაზრდა დიდოსტატმა პეტერ ენდერსმა და საერთოდ პირველი 4 პარტიის შემდეგ აბსოლუტური შედეგი – 4 მოგება ჰქონდა. ვინ იფიქრებდა, რომ მომდევნო ხუთ პარტიაში იგი ვერც ერთს ვერ მოიგებდა. შემდეგ ლიდერობდა დიდოსტატი მათიას ვალსი, რომელმაც ბოლო წლებში ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა გერმანიის ჩემპიონატებში. ასე გაგრძელდა ბოლო ტურამდე, როცა ლიდერმა წააგო დიდოსტატ კრისტიან გაბრიელთან და რამდენიმე საფეხურით დაბლა დაეშვა.

საბოლოოდ 6,5-6,5 ქულით პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა იორგ ჰიკლმა, კრისტიან გაბრიელმა და კრისტოფერ ლუცმა. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით 5 მოჭადრაკე ჩამორჩა, მათ შორის მსოფლიო პირველობის არაერთგზის პრეტენდენტი რობერტ ჰიუბნერი, 51 წლის მოჭადრაკეს უჭირს ახალგაზრდა დიდოსტატებთან თამაში.



2



12

# კროსვორდი



**თარაზულად:** 2. ამერიკელი მოკრივე, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი, 4. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 6. „ლაციოს" მცველი, 9. დროის მონაკვეთი კრივში, 11. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი ომისშემდგომ წლებში, 12. 1972-75 წლებში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ვაჟი, 13. ჭიდაობის სახეობა, 14. მსოფლიოს II და XIV საფეხბურთო ჩემპიონატების მასპინძელი, 18. ჭადრაკის ფიგურა, 19. სარბენი ბილიკის საფარი მასალა, 20. ძველი რომის პროვინცია სამხრეთ პალესტინაში, 21. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 22. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 23. ქართული სპორტული გაზეთი, 24. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 25. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 27. წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი კალათბურთელი *(ფოტო)*, 29. წარსულში გამოჩენილი შვედი ჩოგბურთელი, 30. ახლო წარსულში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი. 31. სატანვარჯიშო იარაღი, 32. აპრილის ძველქართული სახელწოდება, 35 სიგრძის საზომი ერთეული, 36. სპეცტრანსპორტზე დამონტაჟებული სასიგნალო მოწყობილობა, 38. ამერიკელი მძლეოსანი, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში, 39. მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკისათვის დაწესებული ყოველწლიური პრიზი, 41. რუსეთის ჰოკეის კლუბი, 42. სპორტის სახეობა, 43. რუსი ძალოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

**შვეულად:** 1. იტალიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1934 წლის ჩემპიონი, 2. მადრიდის „რეალის" იტალიელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 3. „იუვენტუსის" თავდამსხმელი, 4. სპორტული ტიპის გასართობი თამაში, 5. ქართველი დიდოსტატი, 7. რუსი მოთხილამურე ქალი, 10. ოლიმპიური მედლის მფლობელი, 8. მოძრაობა ძალოსნობაში, 10. მოსკოვის „ტორპედოს" და სსრკ ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 11. მთავარი მსაჯი სპორტის ზოგ სახეობაში, 12. სამხრეთ ამერიკის 1984 წლის რჩეული ფეხბურთელი *(ფოტო)*, 15. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 16 გამოჩენილი სპორტსმენის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, 17. ამერიკელი ძალოსანი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი მძიმე წონაში, 25. „ბარსელონას" ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 26. „ბაიერნის" თავდამსხმელი, 27. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, 28. გამოჩენილი ესპანელი ველომრბოლი, 33. სპორტის სახეობა, 34. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 36. მსოფლიოს ჩემპიონი მოჭადრაკე ვაჟი 1969-72 წლებში, 37. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი, 40. მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის რჩეული ბომბარდირი და ფეხბურთელი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)



27

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ხოფერია, 7. ივაკინი, 8. კლინსმანი, 11. „სიონი", 12. ვოტრო, 13. ლემიე, 16. „ციბონა", 17. „ბრეშია", 21. „ბრედა", 22. მეოლა, 23. ოლისე, 26. ესნაიდერი, 27. ბლატერი, 28. სნუკერი. **შვეულად:** 1. „ბოლონია", 2. ვიალი, 3. სვანი, 4. ანტალია, 6. პესოტო, 9. სნოუბორდი, 10. ხეთაშვილი, 14. ფინკე, 15. კორდა, 18. ბრუმელი, 19. კოლინა, 20. უსატორე, 24. „ოსერი", 25. არენა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი